



ილორი

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული
ნიშნითა



№ 6 (76) 17 მარტი 2009

სახალხო

მოძრაობა

“სამეგრელოს” ორგანო



11

რამ ნააქსია
ქართული
ფეხბურთი...

სააკაშვილი –
იუშენკო:
დუეტი
ბანდურაზე 11



მაფალუ 3

სოფიო
ჩიჯავაძე-კვიფია

“ჩემთვის თუ რამე იყო უხერხული, რომ არც ერთი სიტყვა მეგრული მე არ ვიცოდი, გარშემო კი მხოლოდ მეგრული ისმოდა. არ იცნება ურიგო ამ ენის პატარ-პატარა ნიმუშები ქართულ სკოლებში იყოს მიცემული, მაგრამ ამაზე ხომ აყაყანდებიან ისინი, ვისაც სამეგრელო არაფრად მიაჩნია, და მისი ენა ვერა და ვერ გაიკვლევს გზას. მერე რა ღამაზია იგი, რბილი, ყურისთვის საამო და ალერსიანი“.

გიორგი ციციშვილი

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ“ მეგრული ავტონომიური-სეპარატისტული მოძრაობის კი არა, არამედ სამეგრელოს მინიჭიჭიერი ქართული ეროვნული კულტურის გადარჩენის მცდელობა იყო.

ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებზე მებრუნე ენაზე შემჩნილი ისტორიული პოეზიიდან “გულა-თია”, რომლის ავტორი ბახლავთი თავდადებული მამულიწველი და ზემოთხსენებული პოეტი დანიელ პაპულაძე იყო, გთავაზობთ ბაზაში “ილორში”. 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა კოლმედიკოსად სამხედრო სამსახურში სიძე-მარტოვიტის გამსვალად გულანთიშული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააკაბიშნეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ჯუბაღდის სამხედრო კომიტეტის პასუხისმგებელი პრეზიდენტი. დააკაბიშნეს იმის გამო, რომ იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისამდე პირველი სწავლავალი.

ისტორიული მასალები 3

ეროვნული ფაფიანი



საქართველოს 9
საეყო
უნილუბი
სამეგრელოდან



პლატონ სიმონ
ფანტელაი ჩიქოვანი

ბაზაში “ილორი” შედგება 12
რუბრიკას “მსოფლიო
ჩემპიონატები
ფეხბურთში”, რომელიც
მოგითხრობთ პირველობათა
ფინალურ ბატალიებზე.



დავით მოგალია
სამეგრელო
1990-იან
წლებში 5

რედაქტორის სვეტი 2
ოპოზიცია



მარსი საკუთარ
თანამგზავრს
გაანადგურებს? 12

ჰოლოკოსტი ფრანგულად


საქართველო
უკველს 7
ათასწლეულები



ფაფიანი — ქველი კოლხური სივილიზაციის
ს ა გ ა ჭ რ ო ს ა ნ ა ო ს ნ ო ქ ა ლ ა ქ ი 8




10



ნაწევრები გველირკოს
წიგნიდან “გაგაზია”

ამის
დაგარბვის. 6
ან
დავიწყების
უფლება
არც რუსთა
აქმს და არც
ქართვებს!



პეპრა დიდი,
საქართველო
და ფეხბურთი 4

ოპოზიცია

კლასიკური განმარტებით ოპოზიცია ნიშნავს რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციის და მისთანათა შიგნით არსებული ჯგუფს, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას. ე.ი. ერთთა პოლიტიკის დაპირისპირებას მეორეთა პოლიტიკისადმი.

ეს კლასიკური განმარტებით, თორემ საქართველოში პოზიცია და ოპოზიცია ერთი ძაფით რომ არის ნაკერი, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება. პრინციპი ასეთია – **“გავიყოთ შუაში, ყასიდად ვლანძღოთ ერთმანეთი, ხალხი გაერთობა, გასაჭირი დაავიწყდება, კულუარებში კი კვლავ ძმებად დავრჩეთ და ერთად ვველიფოთ ქვეყანა!”**

ბავშვობაში **“ომობანა”** ყველას გვითამაშნია – ხის თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებულები შუაში გავიყოფოდით **“ჩვენებად და გერმანელებად”**, შემდეგ კი ურიაშულით დავდევდით ერთმანეთს **“მოსაკლავად”**. თამაშის დამთავრების შემდეგ კვლავ ძმებად ვრჩებოდით. მაგრამ, ის რაც მიაძიებურად გამოიყურება ბავშვობაში, უფროსებისათვის შეიძლება მძიმე დანაშაულად იქცეს. ხოლო ის, რასაც წარმოადგენს დღევანდელი ოპოზიცია, სულაც არ გახლავთ ამოუწურავი ბავშვური ფანტაზიის ნაყოფი. ოპოზიციის მოქმედება მძიმე დანაშაულის ტოლფასია, რადგან იგი ხელისუფლების სათავეში ყოფნის ვადას უხანგრძლივებს უკანონოდ მოსულ **“რევოლუციონერებს”**.

ან განა ის არ არის სასაცილო, რომ დღეს ოპოზიციაში იყვნენ ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ეროსი კიწმარიშვილი და მათი მსგავსი სუბიექტები. მათ ხომ ღომის წილი მიუძღვით საკუთარი ქვეყნის დაქცევაში. მათი ოპოზიციონერობა იმას გაგონებს, კაცი რომ სარკესთან დადგება და საკუთარ გამოსახულებას აფურთხებს.

მათ მონანიების არცერთი სიტყვა არ დასცდენიათ, ისე ჩადგნენ ახალი თანამდებობის მომლოდინეთა რიგში.

არ შეიძლება არ გავისხენოთ ის, თუ როგორ მოიქცნენ ოპოზიციონერი პაატა დავითაია და მისი საგამოძიებო კომისიის წევრები, რომლებიც აგვისტოს ომის მიზეზებს იკვლევდნენ. როცა **“აზრზე მოსულმა”** კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ ომი ფაქტიურად სააკაშვილმა დაიწყო. ნაცვლად იმის, რომ ამ ფაქტის მოკვლევა დაეწყო, ოპოზიციონერი დავითაია და კომისიის წევრები ღამის წიხლებით შედგნენ კიწმარიშვილს, რომელსაც ასევე სურდა ოპოზიციაში ადგილის დამკვიდრება. გასაგებია ოპოზიციის შიში – მათ ხელისუფლებისაგან როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური ქვოტა გააჩნიათ და ახლა ცოცხალი თავით არ გაზრდიან ოპოზიციონერთა რიცხვს, რათა ამ ქვოტაში საკუთარი წილი არ შეუმცირდეთ. როგორ ფიქრობთ, ეგენი რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, მერე გაიმეტებენ ხალხისთვის რამეს? მეტი არ იყოს, ჩემი მტერი!

განა წრესგადასული ერთგულებისათვის არ უბოძეს **“ოპოზიციონერ”** პაატა დავითაიას **“ნაციონალებმა”** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის სავარძელი?

ჯერჯერობით კი არწმუნებს ოპოზიცია ხალხს, თქვენი გულისთვის ვებრძვით ხელისუფლებას, თორემ ჩვენ არაფერი გვინდაო. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს, ხალხი სიმართლეს შეიტყობს და ერთნაირად გარეკავს როგორც პოზიციას, ასევე ცრუ ოპოზიციას.

თავი უნდა დაანებონ თაღლითობას და მრუდე გზით სიარულს, რადგან ქვეყნისა და ხალხის ბედი სასწორზე შესაგდები არ გახლავთ.

სხვაგვარად, ჩვენი ოპოზიცია იმ ფენომენის სახეს იძენს, სიტყვა **“ოპოზიციიდან”** ასო **“პ”** რომ ამოაგდო და მის ნაცვლად ასო **“ზ”** ჩაწერო.

თუ ამასაც მოვითმენთ, მაშინ მართლაც მეტის ღირსი ვყოფილვართ.

მოლოცვები ბრძელებს

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** 10 წლისაა, რასაც გულითადათ ვულოცავ საზოგადოების ყველა წევრს და მთლიანად საქართველოს.

საზოგადოების მიზნები და მათი მიღწევის გზები მიმართულია ერთიანი საქართველოს შემდგომი გაძლიერებისა და წინსვლისაკენ, ქვეყნის ერთ-ერთი შესანიშნავი მხარის – სამეგრელოს სულიერი, შემოქმედებითი და კულტურულ-სოციალური ყოფის შემდგომი განვითარებისაკენ.

ისტორიული მისია, რომელსაც ეს ულამაზესი მხარე ასრულებს ერთიანი საქართველოს ეროვნულ ღირებულებათა ფორმირებაში, გამოხატულია სამაგალითო თანადგომით მოყვასისადმი, თავგანისცემით წინაპართა დამსახურებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისადმი, ამ მხარის მოსახლეობისათვის დამახასიათე-

ბელი თვისებები დაკავშირებულია უდიდეს ერთგულებასთან სიყვარულის გამოხატვაში, გულწრფელ მეგობრობასთან, დიდ სულიერ სიძლიერესთან, შრომით და შემოქმედებით აქტიურობასთან, ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის უდიდესი ნებისყოფისა და ბრძოლიუნარიანობის გამოვლენასთან.

სამეგრელო ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ერთიანი საქართველოს ეროვნულობის ბურჯად, ამ მხარის წარმომადგენლები – ქუჯი, გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია და ბევრი სხვა თავდადებული მამულიშვილის ცხოვრებისეული გზა მაგალითია ყველა ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწისათვის.

ზურაბ ცაშიშინიძე

ფიზიკა-მათემატიკის

მეცნიერებათა დოქტორი,

ეკოლოგიურ მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილი წევრი.

თეთრი სახლი და საქართველოს ხელისუფლება უნისონო ურთობაში

ამერიკელმა ჟურნალისტებმა გააბათილეს საქართველოს ხელისუფლების ვერსია სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების შესახებ

ეუთოს წარმომადგენლები, რუსი მშვიდობისმოყვრელების მსგავსად, ქართული არმიის ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ

საქართველოს თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე მოსკოვის მითური **„აგრესიის“** შედეგი როდი იყო – ამ მტკიცების სამართლიანობას დასავალეთში დღემდე სენსაციად მიიჩნევენ. გაზეთ **„ნიუ-იორკ თაიმსში“** გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ამერიკელმა ჟურნალისტებმა პირველად გამოთქვეს ეჭვი სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების შესახებ საქართველოს ხელისუფლების ვერსიასთან დაკავშირებით, აშშ-ის საზოგადოებრივი აზრისთვის ნამდვილ მოვლენად იქცა. ცხინვალის აგვისტოს შტურმიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა ოკეანისგაღმა პრესა მზად, მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მიზეზებში გარკვეულიყო. ამასთან, დასკვნები, რომლებსაც სტატიების ავტორები თავიანთ მკითხველს სთავაზობენ, არსებითად განსხვავდება როგორც თბილისის ოფიციალური პოზიციის, ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებისგანაც.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტების ხელში აღმოჩნდა უშუალოდ კონფლიქტის დაწყებისას კონფლიქტის ზონაში მომუშავე ეუთოს სამხედრო დამკვირვებელთა ანგარიშების მონაცემები. მათი მოწმობით, ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქზე იერიში მიიტანა უწესრიგო საარტილერიო და სარაკეტო ცეცხლით. შედეგად, დაზარალებულ მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსი მშვიდობისმოყვრელები

და უიარაღო საერთაშორისო დამკვირვებლები.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტებმა არა ერთი შეუთავსებლობა და წინააღმდეგობა აღმოაჩინეს საქართველოს ხელისუფლების განცხადებებში. **„პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა“** ეს თავდასხმა დაახასიათა როგორც **ზეზუსტი** და თავდაცვითი ოპერაცია, მაგრამ 7 და 8 აგვისტოს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ ქართული საარტილერიო ცეცხლი და რაკეტები თავს ატყდებოდა ქალაქს 15-20 წამის ინტერვალით და რომ დაბომბვის პირველი საათის განმავლობაში საცხოვრებელ სექტორში 48-ზე მეტი ყუმბარა აფეთქდა. დამკვირვებლები არ ადასტურებენ იმავე საღამოს ქართულ სოფლებზე მასიური იერიშის მიტანას და ამით ეჭვქვეშ აყენებენ ერთ-ერთ უმთავრეს თეზისს, რომლითაც თავდასხმას ამართლებდა სააკაშვილი.

ბრიტანული არმიის ყოფილი კაპიტანი და ომის დაწყების მომენტში ეუთოს მთავარი წარმომადგენელი საქართველოში, ამჟამად პოსტიდან გადამდგარი რაიან გრისტი ირწმუნება: **„ეუთოსთვის ცხინვალის შტურმამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ საქართველო იერიშისთვის ემზადებოდა. ამის შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩთათვის მოწყობილ ბრიფინგზეც განვაცხადე, მაგრამ უფრო მაღალ დიპლომატიურ დონეზე სიტუაციის განვითარებას აშკარად არავინ ადევნებდა თვალს“**, – ირწმუნება ყოფილი ჩინოვნიკი.

საქართველოს ოფიციალურმა პირებმა **„ნიუ-იორკ თაიმსში“** გამოქვეყნებული ფაქტები უარყვეს და დასავლეთის ლიდერებს მოუწოდეს, ისინი მხედველობაში არ მიეღოთ. თუმცა თბილისის თავის მართლება მთლად დამაჯერებლად არ გამოსდის. სამაგიეროდ, მოსკოვს ეუთოს წარმომადგენელთა განცხადებებმა კმაყოფილება მოჰგვარა.

ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან “ბულათია”, რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პაულეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ “ილორში”. 113-ე წელი იღვება პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უპატივით – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

დანიელ ფიფია

ბულა სქანი ვეწე ვარყა
ნამგ ღირდგ კოჩიშ შური
პატგნისკუაქ მიდევონგ
ჯოღორიაქ დოგილური.
ათეჯგუა საქმემერე
წმაყვალარი კოჩიში –
შხვარდასგნი ხოლო შხვარე
სი გიჩინგნს ოდიში.
ანწი თოლი სო გაგანჯე
მუ გათქუე ბოდიში.
მა სქანი რჩინ მარდუალც
გემიჭვეს ოჭიში".
ბულათიაქ მირჩქილუ
დურც გქარხ თაკარიცალო,
ართი ქიმიოყვლენუ
ნათხოზინა ნჯილოცალო;
მიკირთ, ყუდშა გოურქიუ
ვამლარდ ექი აკა წუნცბ
კინი აშო გოგმოსოფუ
თოფი კილაძ მარბგვან ხუცბ.
მარა კოცგ მუჭო უჩქბ –
მეურც მარა მუ მეურცუ:
თუნთიშორო ბურდღიმგნცბ,
ვალგნც, ტყვაცუნცბ, გურგინგც-
ნცბ –
მიდგას მოხვად თე ბორზადინ
ახა ვაი იში დუცბ.
თოლი მერქას ოჭკადგრექბ
დითირე მუში ფერი,
ასე აქი ვერჩქილედგ
ჰამო კუნხიბედინერი.
ბოშეფქ ურო ქგდოდეგს,
გამანჯესგ რაბადი.
სისანდობა კოცგ ვაფუ
ვარე ძიცა, რაგადი.

ბულათია

ბულა შენი შავ-ულაყი,
კაცის ფახად რომ ღირდაო,
ბატონკაცმა წაიყვანა,
ჯოღორია მოგიკვდაო.
ახლა საქმე ესეა და
არ უხდება ბოდიში,
სხვა რომ იყოს კიდევ სხვაა,
გიცნობს მთელი ოდიში.
აწი თვალეხს სად გაახელ,
ლაჩრის სიტყვა ურგია,
შენს გამზრდელსაც, იცოდე,
აუტრელეს ზურგია".
ბულათიამ რა ისმინა
გული ხანძრად აენთო,
ღვეის ხმაზე იღრიალა:
"აბა დამაცადეთო!"
უცებ სახლში შეირბინა,
მზადებისთვის არ შეყოვნდა.
გარეთ როცა გამოვიდა
თოფი უკვე მხარზე ჰქონდა.
კაცმა, აბა რა იცის,
მიდის მარა რა მიდის.
დათვივითა მიბრდღვინავს.
მეხთატეხის ქარია,
ვისაც მოხვდეს მის ღახვარი
ვაი მისი ბრალია.
უცებ წაშში ამ სამკვდლომ
შეიცვალა მისი ფერი,
ახლა უკვე არ ისმოდა
ტკბილი კუნხიბედინერი.
აქ ურო რომ ძირს დააგდეს,
წყენა ჩანდა ამაშიც,
ჩამი-ჩუმი არ ისმოდა,
შეწყდა სიცილ-თამაში.

მ ა ფ ა ლ უ

მ ა ფ ა ლ უ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(აღტერნატიფა)

„მოფლუ“ მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინციტატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვანთ ქართული ეროვნული კულტურის გამდგრების მცდელობა იყო

იოსებ
ყიფშიძე

“Мингрельский язык находится в ближайшем родстве с чанским, составлял в месте с ним одну из трех главных групп яфетской ветви языков, именно тубалкаинскую группу“

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას გიორგი ციციშვილის წიგნიდან

მაგრამ დღემდე შემოგვრჩა “მაფალუელობის” ქვეშ იმ დროის პარტიის ლიდერების მიერ “სიტყვის ხერხად” მოაზრებული-გამოყენებული “ეროვნული საშიშროების” ყალბი გაგება. იგი მეგრული ანტიქარტული საშიშროების იმიტაციის ყოველ კონიუნქტურულ პერიოდში იწვევდა რეჟიმის მიმართ კეკლუცობის და ოპოზიციურობის უნით შეპყრობილთა აფეთქებას. გამორჩეულებიდან ხოლმე მათი არა მარტო ობიექტური, არამედ ზედაპირული გარჯით შექმნილი საგახეთო პუბლიკაციები, აგრეთვე, ვითომ ნეიტრალური, სინამდვილეში, “მაფალუს” შესახებ ადრე სახელმწიფოე-

ბრივ-პოლიტიკანური და ჩეკის-ტური ჩალიხით შეთითხნილი დოკუმენტების მცდარ, პირველად კონცეფციაზე და მცდარ ავტორისეულ ინტერპრეტაციაზე დამყარებული სტატიები.

1. მეგრული ენისა და მისი საზოგადოებრივი გამოყენების შესახებ

“მეგრულ საკითხზე” პარტოკრატო ჩინოვნიკების მსჯელობის დროს ხშირად გვხვდება მიზნობრივ-პოლიტიკანურად უპასუხისმგებლო, გაუხამსებული განცხადებები მეგრული ენისა და XX საუკუნის 20-30-იანი წლების სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობაში მისი მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე (1929 წელი) სიტყვით გამოსულთაგან, ყრილობის ერთმა მონაწილემ, ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელს, რომელიც მეგრული ენის გამოყენების საჭიროებას ამტკიცებდა, საჯაროდ მიაძახა: “თქვენი ენა არ გაქვთ?” ვითომ ქართული ენაც სრულიად საკმარისიყო. სხვა ნიშნის მოგებით განაცხადა, რომ სამეგრელოს მსგავსი ენის პრობლემები გვაქვს ფშაველებთან და ხევსურებთანო. თან დასვა პათეტიკური კითხვა – “როგორ მოვიქცეთ აქ?” ასეთი აზრიც

გამოითქვა: “მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ მეგრული ენა ქართული ენის კილოკავი არის, ჩვენი ფშავე ქართული ენა არის; ენა კი ჩვეთვის მიზანს არ წარმოადგენს, იგი აზროვნების გადაცემის საშუალებაა. ამხ. გაბუნია და შვანია კი უნდათ დაიწონ მეგრული კილოკავით, მეგრული ენით და შემდეგ ავტონომია მოითხოვონ ისევე, როგორც ამას მოითხოვდნენ მენშევიკების დროს ნაციონალ-დემოკრატები: სტეფანე გაგუა, იონა მეუნარგია, მმები კანკაგები და სხვები” (საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, ტფ. 1929, გვ. 167, 213, 173). სამეგრელოს ძირითადი, გლეხური მოსახლეობისათვის მეგრული ენის მნიშვნელობის მსგავსი გაუგებრობების გამო საჭირო ხდება წინამდებარე წიგნის წარმოსაჩენ პრობლემას წაუშმდვაროთ მეგრული ენის რაობისა და საზოგადოებრივად საჭიროების ამსახველი ინფორმაციული მონაცემები.

(სოფიო ჩიჯავაძე-კეილია ამ დროს თბილისის ქალთა გიმნაზიის ღირეკტორი იყო და ახლადდაქორწინებულმა პირველად მოინახულა მეუღლის ოჯახური გარემო, სამეგრელოს იმდროინდელ ვითარებაში კულტურულად შედარებით დაწინაურებულ ზუგდიდში. პატარაძალს “გარშემო მხოლოდ მეგრული ესმოდა” – ეს იმდროინდელი სინამდვილის რეალური ასახვა იყო. პედაგოგისა და სასკოლო სწავლების ორგანიზატორის სოფიო ჩიჯავაძე-კეილიას დაკვირვებაზე დამყარებული აზრი, ქართულ სკოლებში მეგრული ენის პატარ-პატარა ნიმუშების მიცემის საჭიროების შესახებ, უთუოდ რაციონალური იყო და მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მაგრამ იმდროინდელი საქართველოს საზოგადოება, როგორც ჩანს, ამისათვის კი არ იყო მზად. მისთვის მით უმეტეს გაუგებარი იქნებოდა სამეგრელოს ქართულის არმცოდნე და ცუდადმოცოდნე სოფლების დაწყებით სკოლაში მეგრულად სწავლების აზრი).

ვაგრძელება იქნება

სოფიო

ჩიჯავაძე-კეილია

“ჩემთვის თუ რამე იყო უხერხული, რომ არც ერთი სიტყვა მეგრული მე არ ვიცოდი, გარშემო კი მხოლოდ მეგრული ისმოდა. არ იქნება ურიგო ამ ენის პატარ-პატარა ნიმუშები ქართულ სკოლებში იყოს მიცემული, მაგრამ ამაზე ხომ აყაყანდებიან ისინი, ვისაც სამეგრელო არაფრად მიაჩნია, და მისი ენა ვერა და ვერ გაიკვლევს გზას. მერე რა ღამაზია იგი, რბილი, ყურისთვის საამო და ალერსიანი“.

მ ც ი რ ე ის ტ ო რ ი უ ლ ი ე მ ს კ უ რ ს ი

ცოტნე დადიანი

დიდგაროვანი ფეოდალი. უმეფობის ხანაში მონღოლებმა რაჭის ერისთავთან ერთად დასავლეთ საქართველოს გამგებლად დანიშნეს. მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში (დაახ. 1245), რომლის მიზანი იყო მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. მონღოლებმა შეთქმულების შესახებ შეიტყვეს, მონაწილეები დააპატიმრეს და ანისში ნოინს მიჰგვარეს. რადგან მონღოლებმა ქართველები ვერ გატყვეს, სასჯელად ტანზე თაფლი წაუსვეს და მცხუნვარე მზის ქვეშ დასხეს.

ცოტნე დადიანი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას, ის აჯანყებისთვის ჯარს აგროვებდა. ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დადიანმა შეთქმულთა დასჯის ამბავი გაიგო, ანისში ჩავიდა და გაიზიარა თანამებრძოლთა ხვედრი – ტანზე თავად წაისვა თაფლი და მეგობრებთან დაჯდა. ცოტნე დადიანის გმირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა, რომ ქართველები არ ტყუოდნენ და ისინი აჯანყების მოსაწყობად კი არა, სათაბიროდ შეკრებილიყვნენ. მონღოლებმა ქართველი პატიმრები გაათავისუფლეს და თავდებად ცოტნე დაუყენეს.

ცოტნე დადიანი ქართული პოლიტიკური აზრისთვის საქართველოს პროგრესული ძალების კონსოლიდაციის, შთამომავლობისათვის კი ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ ძალთა შეკავშირების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ, 1999 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იგი წმინდანად შერაცხა. ცოტნე დადიანი მშობლებთან ერთად ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზეა გამოსახული.



პეპრა დიდი, სააკაშვილი და ფელგენბაუერი

რომელ ისტორიულ მოღვაწესთან ასოცირდება მიხეილ სააკაშვილი? ზოგიერთის აზრით, პალესტინის დიეტის ენთუზიასტი იმ ცნობილ პერსონას მოგვაგონებს, წითელი არმიის ყოველი იერიშის შეტეობისას ხალიჩებს რომ ცოხნიდა. თუმცა, 1945 წლის გაზაფხულზე აღსრულებულ გერმანულ შეპყრობილთან შედარება ცოტა გადაჭარბებულია, ბოროტმოქმედებისა და სისხლის ღვრის მასშტაბებში სხვაობის გამო. უბრალოდ, პალესტინა ხალიჩის ფონზე...

იუმორისტული ვიდუკლიპის „ნაშა ამერიკაშას“ შემქმნელებმა სააკაშვილი შუააზიელ გასტარბაიტერად წარმოაჩინეს. ეს შედარება ამ უკანასკნელისთვის შეურაცხმყოფელიც კია.

ყველაზე სახალისო მსგავსება მაინც ყველაზე მხიარულმა რუსმა ლიბერალმა პაველ ფელგენგაუერმა მოიფიქრა, როცა სააკაშვილი... პეტრე დიდს შეადარა! ფელგენგაუერის ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს მოწვევის საშუალებას არ აძლევს, თავად გაუცინარ ხელმწიფის ასულსაც კი გააცინებს. არაფრად უღირს ქართული არმიისთვის ხოტბის აღვლენა აგვისტოში მისი განუმეორებელი მოკურცხვის წინადადეს ან 1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დაწყება.

წიგნში „საქართველოსთან ომის პირველი ნაწილი“ (ჟურნალი „კონტინენტი“) ფელგენგაუერმა შავით თეთრზე დაწერა: „სინამდვილეში სააკაშვილი ძლიერი, ჭკვიანი, მიზანსწრაფული და ძალიან ენერგიული ეროვნული ლიდერია. მართალია, მოთმინება დაღატოებს, ღამობს საქართველოსა და ქართველების სწრაფად გადაკეთებას, რადგან პეტრე პირველივე დარწმუნებულია, რომ ყველაზე უკეთ იცის, რა სჭირდება მის ხალხსა და ქვეყანას. სააკაშვილის გუნდი უმეტესწილად ახალგაზრდა, დასავლეთში განათლებამიღებულები, ენერგიული და საქმიანი ადამიანებისგან შედგება. მათ 4



წელიწადში შეძლეს საქართველოს გადაკეთება. სააკაშვილი კორუფციის სხვების დასანახავად კი არ ებრძოდა, როგორც ამას რუსეთში ლაქლაქით აკეთებენ, არამედ ყველას გასაკვირად, პრაქტიკულად მოსპო იგი! სანამ ჩვენთან ნება-ნება მუსაფოზდნენ სამხედრო რეჟიმის აუცილებლობაზე, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე, არმიის „ინოვაციაზე“ საქართველოში ნულიდან შექმნეს ახალი სახის შეიარაღებული ძალები.“

სააკაშვილი „როგორც თავის დროზე პეტრე დიდი“, – განაყველა ლიბერალს ძალუქს ამის დაწერა. თვითონ პეტრე პირველი ასეთი სამარცხვინო შედარების ავტორს ალბათ კეერთხით აუჭრელებდა ზურგს.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფელგენგაუერი სადაც, თოვლის კაცის გამოქვაბულში, ბინადრობს და წარმოადგენს არა აქეს, რა ხდება ქვეყანაზე. ნულიდან შექმნილმა შეიარაღებულმა ძალებმა აგვისტოს ბრძოლებისას კული ამოიძუეს და ახლა ისევ იმ ყბადაღებული ნულოვანი ციფრიდან იქმნებიან. ხოლო „საქმიანმა ადამიანებმა“ სააკაშვილის გუნდიდან ახალგაზრდულად და ენერგიულად გადაინაცვლეს ოპოზიციას და ემირაციაში, სადაც თავიანთ ყოფილ წინამძღოლზე საძაგლობები ილაპარაკეს. მართლა აბსოლუტური ლიბერალი უნდა იყო, რომ ეს არ იცოდებოდა არ გსმენოდეს.

საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელთან ერთადაც სააკაშვილი ოდესღაც სამხრეთ ოსეთის დაშლის შემინებას აპირებდა, ახლა თავის ექს-მთავარსარდალს პოლიტიკური მკვლევრობების ორგანიზებაში ადანაშაულებს. ისიც არ რჩება ვაღში და დაწერილებით განმარტავს, როგორი საზიზღარი პროფენბა ხელმძღვანელობდა ქართულ არმიას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღიდელი პოსტიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა. არაოფიციალური ინფორმაციით, ჯანმრთელობის შერყევის მიზეზი უშუალოდ პრეზიდენტისგან მიღებული ალიყურები გახლდათ. ამასმა ნოღაიდელმა პრეზიდენტის ამასწინანდელი ტელეხიდიის კომენტარებისას განაცხადა, რომ სააკაშვილის არც ერთი სიტყვის არ სჯერა და მთელი მისი გამოსვლა „სიცრუის კასკადი“ მონათლა.

პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: „სანამ მისი გულწრფელობის მჯეროდა, მხარში ვედექი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს რწმენა შემერყა, იქ ვარ, სადაც ახლა ვარ.“ ახლა კი მიმდებარე ნინო ოპოზიციაშია და პირქმინდად დაეწევიან სააკაშვილთან ერთობლივი პოლიტიკური მოღვაწეობის წლები. მართალია, რწმენა დაკარგა, მაგრამ კორუფციის პრაქტიკულად მოსპობის წლებში ერთობლივად დაგროვებულ ქონებაზე კრინტსაც არ ძრავს.

„სააკაშვილის გუნდი“ – არაჩვეულებრივი ნათქვამია. მეფის გარემოცვა მისი ანარეკლია. გარემოცვა კი დაწვრილებით მოჰყვა, რას წარადგენს სააკაშვილი. რაც შეეხება 4 წელიწადში გადაკეთებულ საქართველოს, „მოუთმენლად“ გადაკეთებული ქართველები რატომღაც კისრისტეხით გარბიან არაკორუმპირებული სამშობლოდან... საქმეს პეტრე დიდთან მსგავსებაც არ შევლის

ნაციონალური ალბათი გასაქცევად ემზადებიან...

ამის თაობაზე სერიოზულად საუბრობენ როგორც სახელისუფლებო კულუარებში, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მოტივად მოჰყავთ ის, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან სააკაშვილის განკარგულებით მის რეზიდენციაში გადაიტანეს ფიროსმანის ნახატი „გიორგობა ბოლნისში“, რომელიც ექსპერტთა შეფასებით რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა თუ პოლიტიკოსებმა დიდი ხმაური ატეხეს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ სააკაშვილს ნახატი მაინც არ დაუბრუნებია, რაც გეოგრაფიკურების, რომ მან ნახატი უკვე წინასწარ გაიტანა საზღვარგარეთ და მას შემდეგ გაუკეთებს რეალიზაციას, როცა საქართველოდან გაიქცევა. სხვაგვარად იგი აერიდებოდა ამხელა ხმაურს და თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაივადებდა.

ასე რომ, მიშამ ქართველებს და საქართველოს სომხური მოხერხებით ურცხვად „აწაპნა“ ფიროსმანის ძვირადღირებული ნახატი, რომელსაც უცხოეთში ვინმე ანუქებს, რათა გაქცევის შემდეგ თავისი არეულ-დარეული ბიზნესი დააღავოს.

გასაქცევად კი ნამდვილად აქვს საქმე სააკაშვილს, რადგან სულელური ავანტიურების გადაბეჭდვით ორი დიდი მტერი გაიჩინა – რუსეთი, რომელსაც სააკაშვილმა „დაუნდობელი“ ომი გამოუცხადა, და ქართველი ხალხი, რომელიც იგივე სააკაშვილმა „დაუნდობელ“ სოციალურ და ეკონომიკურ ომში გამოიწვია. აღარაფერს ვამბობთ იმ ოჯახებზე, რომელთა უდანაშაულო შვილებიც თბილისის ცენტრში, ყველას თვალწინ, განსაკუთრებული ცინიზმით, დაუნდობლად დახვრიტეს „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების მიერ დაგეშილმა კაცისმკვლელებმა.

ასე რომ, ძრწოდეს და ეშინოდეს! სააკაშვილს სირბილი რომ ეხერხება, ეს აგვისტოს მოვლენების დროს გორშიც კარგად გამოჩნდა, როცა შეშინებულმა პრეზიდენტმა სტუმარი მიატოვა, კურდღელივით გაიქცა და ორმეში დურთა თავი.

იმ დროს, როცა „ნაციონალური“ მოძრაობის დიდმა „მოაზროვნებმა“ მსოფლიო კრიზისი უკვე გადააქციეს ქართველი ხალხის ეროვნულ ტრაგედიად, ნაცვლად იმისა, რომ უმძიმესი მდგომარეობის განტევრთვაზე იფიქრონ, სააკაშვილს იმას ურჩევნ, თუ როგორ მოაწყოს ბოზოყვათის საპრეზიდენტო რეზიდენცია. ახლა იქ თურმე დასარგავად, სანდრას სამშობლო ჰოლანდიიდან შეუძენიათ 70.000 დოლარის ღირებულების ბუჩქნარი. ბუჩქებისადმი სიყვარული რომ საქართველოს პრეზიდენტს განსაკუთრებით აქვს მოძალებული, იქიდანაც ჩანს, რომ როცა რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდები განმუხურის ბანაკში დროის გასატარებლად გაუშვა, შემდეგი სიტყვებით დამოძღვრა: „იქ ბუჩქებიც არის და, აბა თქვენ იცით, თავი არ შეირცხვინოთ“.

ბოზოყვათის არც თავისი ბუჩქები აკლია, მაგრამ, როგორც ჩანს ეს არ აკმაყოფილებს „ბუჩქებისმოყვარულ“ სააკაშვილს და თავისი სიდედრისა და სიმამრის

გასამდიდრებლად არავითარი ხარჯის გაწევას არ ერიდება და ამიტომაც შეიძინა ბუჩქები ჰოლანდიაში. რაც საქართველოში ძველი ჰოლანდიური ავტობუსები დაჯაყჯაყებენ, მათი ღირებულების ნაწილიც რომ სანდრას ახლობლების ჯიბეებში ილექება, ამის თაობაზე უამრავი წერილი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, მაგრამ ყველაფერი მაინც „წერე და იკითხე“ სიბრტყეზე რჩება. გაქცევამდე სააკაშვილი კვლავაც იბრუნებს თავისი ჰოლანდიელი ნათესავების გამდიდრებაზე, რადგან მალე „ჩასიბუქების“ ამბლუაში მოველინება სიდედრ-სიმამრს, მაგრამ ევროპა რაციონალური ქვეყანაა და ჯიბეგამოფხვნილ სიძეს ოჯახში არავინ შეუშვებს.

ბოზოყვათისათვის ბუჩქების ყიდვა თავისთავად მიანიშნებს, რომ სააკაშვილი იქ ჩასახლებას აპირებს.

რატომ? იმიტომ, რომ ბოზოყვათიდან საზღვარგარეთ გაქცევა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე თბილისიდან, სადაც უცვებ შეიძლება მოხდეს აეროპორტის ბლოკირება. ადვილი მოსალოდნელია, რომ აღშფოთებულმა ქართველმა ხალხმა თავად გადაუყვროს გზა სიყვითლისაგან გაქცევის დაჩვეულ სააკაშვილს და აეროპორტამდე საერთოდ არ მიუშვას.

ამდენად, ბათუმი მისთვის კარგი თავშესაფარია და ამიტომაც გადადის ორი თვით აჭარაში, რადგან ხალხის მხარდაჭერას უკვე ვეღარ გრძნობს.

ისე, საქართველოში რომ ფრიად შემაშფოთებელი ამბები ხდება, ესეც ფაქტია. საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის საზღვარზე რამდენიმე დღეა მკსუთე ბრიგადის ერთი ბატალიონი გადაიყვანეს 600 კაცის შემადგენლობით. ახლა ეს ხალხი მარნეულის საზღვარზე გამაგრებული, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საზღვარზე რაღაც საშიშროება განაღდა. ნახალთზეც გადაიყვანეს 600 კაცი, რათა იქიდან ქსნის ხეობა გააკონტროლონ. გარდა ამისა, სააკაშვილი შეუდგა მძიმე ტექნიკის შედგენას თურქეთიდან და არავინ იცის, მას ეს ტექნიკა საომრად სჭირდება თუ თავის დასაცავად.

და რაც მთავარია, ბათუმის ცენტრში მდებარე ძვირადღირებული სასტუმროს, ქართულ პრესაში უკვე დიად მიანიშნებენ იმის თაობაზე, რომ იგი პრეზიდენტის დედის („დედა-დედოფლის“) თურქი ეროვნების ქმრის ბიზნესია, რომელიც, სინამდვილეში, არა რომელიმე თურქი ინვესტორის, არამედ ქართული ფულით შენდება და თურქული ნაწარმის სახით მიეწოდება მომხმარებელს. იმასაც ამბობენ, რომ ამ მშენებლობაში ქართველი ბიზნესმენებისათვის წარმოქმნილი ფულია ჩადებული. ეს მოვლენა თუნდაც იმიტომ დგას სიმართლესთან, რომ არცერთი უცხოელი ინვესტორი ფულს არ დააბანდებს ომის ზღვარზე მდგარ სახელმწიფოში, რომლის ხელმძღვანელობა ყოველგვარ ავანტიურაზე მიდის და დაღუპვისაკენ მიაქანებს ქვეყანას.

მოკლე ყველაფერი წინაა, და ვიდრე გაზეთის ეს ნომერი გამოვა, შეიძლება ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა საბოლოოდ მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე...

რ. შალამბერიძე

ჰოლოკოსტი ფრანგულად

სარკოზის ადმინისტრაციის პროისრაელურ პოლიტიკაზე არაერთი ანალიტიკოსი ლაპარაკობდა და, სავარაუდოდ, ამგვარ მსჯელობას საფუძველიც ჰქონდა. თუმცა დღეს უკვე თვალსაჩინოა, რომ სარკოზის სიყვარული ებრაული სახელმწიფოსადმი ზიანს აყენებს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფო დღაღატის სუნი ასდის.

ამერიკელი გამოცემა „ჰაშინგტონ პოსტი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ვიშის რეჟიმს პასუხისმგებლობა დააკისრა მეორე მსოფლიო ომის დროს ათასობით ებრაელის დეპორტაციაზე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში. ექსპერტთა აზრით, ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლესი პირების მიერ იყო სანქცირებული. გამოტანილი ვერდიქტი ხომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკოსტში საფრანგეთის მთავრობის მონაწილეობის აღიარებად იქცა. სასამართლოს მონაცემებით, ვიშის რეჟიმის მმართველობისას, 1942-დან 1944 წლამდე, საკონცენტრაციო ბანაკებში 76 ათასი ებრაელი იქნა დეპორტირებული.

ვიშის რეჟიმი ოფიციალურად ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს,

თუმცა, ფაქტობრივად, პიტლერების მარიონეტი იყო. ვიშის ტების პოლიციური ფორმირებები წინააღმდეგობის მოძრაობას ებრძოდნენ, რეჟიმის ხელდასხმით ფრანგებს ვერმახტსა და ეს-ესის ნაწილებში გადაიბირებდნენ. ვიშისტები ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეების ძალებთან საომარ შეტაკებებში მონაწილეობდნენ.

მოკლედ, სავსებით ნათელია, რომ ვიშის რეჟიმი კოლაბორაციონისტული სტრუქტურა და პიტლერული ოკუპაციური ხელისუფლების საფარველი იყო. მას ვერასვხით ვუწოდებთ საფრანგეთის ნაციონალურ ხელისუფლებას, რომელიც ფრანგი ხალხის ინტერესებს წარმოადგენდა. მითუფრო, ვერ მივიჩნევთ ამჟამინდელ ხელისუფლებას მის მემკვიდრედ.

1995 წელს მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა პირველად დაადანაშაულა საჯაროდ საფრანგეთი ათასობით ებრაელის დევნასა და დეპორტაციაში, რაც პროისრაელური ღობის დიდ გამარჯვებად შეფასდა. საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა საფრანგეთის ამჟამინდელმა მეთაურმა. ახლა საფრანგეთი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში თავად შეიქნა პიტლერ-

იზმის მსხვერპლი, თელ-ავივს „ჰოლოკოსტის“ რეპარაციებს გადაუხდის. რამ უბიძგა სარკოზის ამგვარი გამცემლობისკენ – ებრაელმა წარმოშობამ, რომელზეც გაზეთები წერენ, თუ რაიმე სტიმულმა, რომელიც ებრაელებმა მისცეს?

აღსანიშნავია კიდევ ერთი ასპექტი. საფრანგეთში შეიქმნა საშიში პრეცედენტი. ახლა „ჰოლოკოსტური“ პრეტენზიების ობიექტებად შეიძლება იქცეს ის ქვეყნები, ვისი ტერიტორიებიც ან მათი ნაწილი ნაცისტების მიერ იყო ოკუპირებული.





1993-ის ძველით ახალი წელი დგებოდა. გრიშა ქობალიას სახლში, ჩვენს არალეგალურ შტაბში შევიკრიბეთ ენგურსგადმა წასვლის წინ. თბილისისთვის (მაშინ საქართველო თბილისით იზომებოდა და იწონებოდა მხოლოდ! სამწუხაროდ დღესაც, აფხაზეთის ტრაგედიის 17 წლის შემდეგაც) აფხაზეთის ომი გადამითელთა სატყეარო იყო და არა დედა სამშობლოს ტრაგედია, ეს მისი ტელეპროგრამებს და კინოთეატრების სახეიმო რეპერტუარებს ეტყობოდა. სამეგრელოს საკუთარ გასჭირთან ერთად აფხაზეთში დატრიალებული უბედურებაც უნდა გაეგნებინა.

ამასობაში ოპერატორიც მოვიდა და ჩვენი ყველგანმავალი 06-ით გზას გაუდგქით. გალში რუდიკ ცაბავას (გალის გამგებელს) შეეუარეთ. ამ დროს თბილისიდან სამთავრობო ტელეფონმა დარეკა. რუდიკმა ტუნზე ორი თითის მიღებით ვგამცნო, მოდოდ უფროსი რეკავს და კრინტი არ დაძრათო. „ღიახ ბატონო ელუარდ, ღიახ, ღიახ... (დადნა და დაღვენთა „რუდიკია უბედური“ მამა და მარჩენალის ხმის გამკონე...), როგორც თქვენ დავგვიგემეთ ისე ვიმოქმედებთ, ვინ არიან ისინი – აქ ჩვენ ვაკონტროლებთ ყველაფერს!!!“

სახეგანათებულმა რუდიკმა მედიდურად გადმოგვხვდა და უსიტყვოდ გავგრძნობინა: „ხედავთ ვის ველაპარაკები და ამის შემდეგ მე კიდევ თქვენი თავი მაქვსო?!“

არც ჩვენ გაგვკირვებია მიხედვით, „ისინი ვინ არიან“-ში რომ ჩვენ ვიგულისხმებოდით. ეს ისედაც ცხადი იყო, მაგრამ აქ სხვა უბედურება გვჭირდა – ყოველი მეორე, ვისაც კი შექმნილ სიტუაციასთან თავის სასარგებლოდ მორგება შეეძლო, არაფერს თაკილობდა.

რა გასაკვირია, რომ, არც ჩვენი მასპინძელი ყოფილიყო გამონაკლისი.

... უამრავი ხალხი ირეოდა შტაბში. ...ხვალ ახალი წელი მოდის, სახლს რომ თავი დავანებოთ, სასაფლაოს მაინც ხომ უნდა მიმეითხავი, „კუნჩა“ დღეს მე თანამირეში ვერ შეგვხვდები“ წუხდა შავებში ჩაცმული, ასაკოვანი მანდილოსანი.

ვერავინ ამბობდა უსაფრთხო იყო თუ არა გზა თანამირედან სოხუმამდე. იმ დროს ცალკეული (ხშირად პროვოკაციულიც) თავდასხმები უცხო არ იყო და მოსახლეობა მეზავრობის გარანტიას ითხოვდა...

ამასობაში ჯემალ ქობალიაც გამოჩნდა და იქვე გადავწყვიტეთ სოხუმში წასვლა. საშინელი სანახავი იყო გადამწვარი სახლები. გზად უამრავი მძიმე სამხედრო ტექნიკა ყვარა, ეშმაკი რომ ვერ გაარჩევდა ქართველს აუფეთქეს თუ აფხაზს, რადგან ორივეს ერთი სატანა აშარავდა.

უხიფათოდ გავიარეთ ტამიში, მაჭარკაში ჩავედით, დანაბარები გადავეცით და ცოტა ხანში თანამირესკენ მოვბრუნდით. დავრწმუნდით, რომ გზა საშიში არ იყო და ხვალ სოხუმისკენ ავტობუსების წამოსვლას წინ არაფერი ედგა.

ტამიშიდან, ჩემი თხოვნით ლაბრისკენ გადავუხვიეთ. დაუკრეფავი ციფრუსები ტოტებს ამტვრევდა, უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები გამორბოდნენ ეზოებიდან მანქანის ხმაზე. ძეხორციელის ჭაჭანება არ ისმოდა გარშემო. საშინელი ყოფილა მკედარი სოფელი. ჩვენი „ჩელენჯერი“ (ასე ვუძახდით 06-ს, ერთადერთ საკუთარ ნივთს, რაც ჯემალიმ სოხუმშიდან წამოიღო).

ილორში სანთლები დავანთეთ, უიარაღო ადგილობრივი მოსახლეობა დავხვია ჯემალ ქობალიას – „რატომ ვყრივართ სხვის იმედად, მთავრობა იარაღს რატომ არ გვაძლევს, რატომ არ გვენდობაო?“

დასაწყისში ვახსენე მთავრობის მეთაური ვის ენდობოდა და ვის აძლევდა იარაღს!

შეზინდებული იყო თანამირეში რომ შემოვედით. შტაბში, ისევე ხალხმრავლობა იყო.

რომ ვთქვა ჩვენს მოლოდინად იყო ქვეული „გენერალიტეტი“ მეთქი ტყუილია, მაგრამ ჩვენმა ჩამოსვლამ რომ დაარწმუნა მოსახლეობა გზის უსაფრთხოებაში ხატზე დაფიქცებ!

...ჯემალ ქობალია თანამირეში დარჩა, ჯემალ ხარებავამ, მე და ბუთხუზიმი ზუგდიდისკენ გადავწყვიტეთ წამოსვლა. ვიფიქრეთ, შუა ღამისას სამხედრო ოპერაციებს აქ არავინ გეგმავს, მეზავრობა უფრო უსაფრთხოა, თუ ყანალი შემოგვეფეთა, წასართმევი, მანქანის და ვიდუკამერის მეტი ჩვენ არაფერი გვაქვას. – ვთქვით, ჯანდაბასო! და ამ იმედით გაუვდგქით გზას.

იმ დამეს არაერთხელ დავრწმუნდი, რომ უშიში და უხორცო არ შეიძლება დედისგან შობილი იყოს. სანამ ჯერ კიდევ აქაიქ მაინც ბუტავდა სანახევროდ გადამწვარ სოფლებში ჭრატის შუკი კიდევ არა უშავდა, მაგრამ ესეც რომ გაქრა, გზაში დამწვარი, შავად გარუჯული სამხედრო ტექნიკა, ჩანგრეული ხიდები და მათ გვერდით სახელდახელოდ მოწყობილი გადასასვლელები საშინელებების ფილმის მონაწილეებად გვხვდია. ეს ის მომენტი, უკან დაბრუნება კიდევ უფრო დიდ საშინელებას რომ წარმოადგენს.

თურმე, მარტო მე არ ვარ ამ ფიქრებში, ეს მერე გაირკვა. სიხუმის დარღვევა ცვადე და ვოქცო:

– ახლა რომ ვინმე გაგვანეროს და გვეითხოს, ვინ ვართ და რა გვარები ვართ, ხომ იცით ქობალიები ორივე მხრიდან ვიდენებით და თავს ნუ შეაკლავთ, ფულს მოითხოვენ, შარში ნუ გაეძმებით, თქვენ მხოლოდ ამბავი ჩაიტანეთ მეთქი.

აჩივარას შესასვლელში დიდი საკონტროლო პოსტი იყო მოწყობილი. ბეტონის ფილებისგან, ღამის ორსართულიანი სახლის სიმაღლის ბარიერი იყო აგებული. შორიდანვე ჩანდა ძეხორციელის ჭაჭანება არ იყო იქ. სხვა დროს ეს ადგილი შესაძენვეად განათებული მაინც იყო. არ მოგვეწონა ეს. – რას უნდა ნიშნავდეს ნეტავ ეს სიხუმე? ვითხე თუ არა, ჯიბის ფანარი ანთო და მადლა აწეული თეთრი ნაჭერი გაანათა. უნდა გავეჩერებულყავით, იმის ნიშანი იყო ეს! ჯემალიმ შუში ჩამოსწავა და თეთრალმინიც მას მიაღება, გამარჯობაც არ უთქვამს ისე იკითხა: „ქობალია ხომ არ ხის მანქანაში?“

დავუვანების დრო არ იყო, წამშივე გავიზრე დამალვას აზრი არ ჰქონდა, სხვებსაც ხიფათში ჩაევალებოდა და მეცხვე ეუპასუხებოდა მე ვარ დათო ქობალია! ფანარი სახეზე შემომანათა, შემომხედა, გმოსვლა დაეპირე, უარი მითხრა. მანქანის გვერდზე გადაყენება და მის მოსვლამდე ადგილზე დარჩენა გვიბრძანა. წავიდა თუ არა თეთრალმინი, ბუთხუში მეცა იმწამსვე – „დათო ბიძია არ შეგეშინდეს, მარტო არ დაგტოვებთ, ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ“. ჯემალის გადახვადე, სახეზე ფერი არ ედო – „დათო შენ ხომ იცი, ჩემთვის ყველაზე დიდი საფიცარი, ჩემი ბათე მე სოხუმის მიწაში მიწევს, ამ ბავშვს ბოლოდ არაფერი დაუშავდეს (ბუთხუში ჩემი მანიშნა) და ჩვენ არაფერი დავგაცილებსო...“

ასეთ დროს ჩანაწერს ვაკეთებდით, რა დროს და სად ვიყავით. საათი დაეინიშნეთ, დაახლოებით ხუთი წუთი გაგრძელდა ჩვენი ლოდინი, რაც ზუთ დედამებს უდრიდა მაშინ... ამ ფიქრებში ვიყავით, ბეტონის ფილებს მიღმა ხმაური რომ მოისმია. ხმაურს ხმაამდლა სიცილიც მოევა და ჯემალიმაც არ დაახანა – არა მგონია დასახვერებთან სიცილხარხარით მოდიოდნენ, აქ მგონი სხვა რამე ხდებოდა!..“

სამი ფანარიანი მამაკაცი გამოჩნდა ბეტონის ბარიერიდან, მანქანას მოუახლოვდნენ და ერთერთმა ხმაამდლა იკითხა: „სად არის ის დათო ქობალია, თუ კაცი ხარ ერთი მეჩვენე!“

ცხადი იყო მოსაკლავად არ მეძახდა ეს მთასავით კაცი. სამივე გაოგნებულები გადამოვედით მანქანიდან, მე ვარ მეთქი ეუპასუხე და გახარებული გადამხვია ღურუ ქობალია...

„აჩივარელი ღურუ ქობალია ვარ მე. აქ ყოველ კვირა მეხმის: დათო ქობალია სოხუმისკენ წავიდა, დათო ქობალია ზუგდიდში წავიდა. გავიგე აქეთ იყავით და დილიდან გველოდებით, მითხრეს სოხუმისკენ წავიდაო, ბიჭებს დავავადე, მობრუნებულზე აუცილებლად გააჩერეთ და ჩემთან მოიყვანეთო. მიწოდდა მენახე და გამეცანი ვინ ხარო!...“

ეს ყველაფერი კარგი მაგრამ „ჭიფე ღურა გუშოთებაფეთინ თეს მუ ოხვარ ღურუ ბიძია!“ შეავება ჯემალიმ.

იქვე სულ რაღაც ერთ კილომეტრში უცხოვრია ღურუ ბიძია. „ოი“ დაუკლავს, დიდებული სუფრა გაუშლია, ეტყობა ადრე გვამოგვადედა.

ლოდა და გვისაყვედურა: „დომი მეორედ დავადგმევინეო!“

მშვირები და შიშნაჭამები მიეუსხედით სუფრას, დილაამდე გაგრძელდა ქეფი ღურუს ჯარგებაში.

... იმ დამეს გაიგეთ, ღურუ ბიძიას და ჯემალის ერთი უბედურება დასტყდომოათ თავს თითქმის ერთდროულად... მასაც შეილის საფლავი აწვა გულზე აჩივარში.

სამწუხაროდ, ღურუ ბიძია უცხოობაში ადესრულა რამდენიმე წლის წინ, საქართველოს მიწაზე...

მე და თქვენ კი, ჩემო თანამეგამულენო, უამრავი საფლავის პატრონობა მოგვიწევს ვიდრე ამ წუთისოფელს ვსტუმრობთ!

დმერთმა შეგვკადლებინოს, ჩვენ და სრულიად საქართველოს!

...სამეგრელოში მესამე სადამსჯელო ექსპედიციის გაგზავნის შემდეგ, საქართველოს კრიმინალური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ამ კუთხის შესარცხვენად და დასამცირებლად. ენერგიულად მუშაობდა თბილისის ტელევიზია და მისი გმირი ტელეჟურნალისტი ქალბატონი მაკა რაზმაძე, ღამის გასართობ ტელეშოუდ იყო ქვეული, სამეგრელოს გაწამებული მოსახლეობის ახლო მანძილიდან გადაღებული, გადაღებული თაყ-პირ-ცხვირის ჩვენება და სპეციალურად შერჩეულ-ხაზგასმულ, მეგრულ კილოზე საუბრები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხის გასაჭირის მოსმენა მავან უჯიშოთათვის გასართობად იყო ქვეული. ყველაფერი ეს, აფხაზეთის ომის დროს უფრო ნათლად გაეცხადდა, როცა ყველა იქ დატრიალებული ტრაგედია თბილისში გამართული ცეკვა-თამაშების და სახეიმო კონცერტების აკომპანიმენტის ქვეშ მიმდინარეობდა.

უფრო ვრცლად ამ თემას მოგვიანებით მივებრუნდებით.

ამჯერად, ისევ მესამე სადამსჯელო ექსპედიციის შემდგომ მოვლენებზე ვისაუბროთ: – ვერც ამან გამოიღო შევარდანადის კრიმინალური მთავრობისთვის სასურველი შედეგი, უფრო სხვა, დიდმასშტაბიანი რამ უნდა მომხდარიყო და ამანაც არ დაეყოვნა: – 24 ივნისის დილა, ტელევიზიაში გამართული უნიჭო შოუ, რომელსაც რამდენიმე ადამიანის მსხვერპლი და 2.000-მდე უდანაშაულო მოქალაქეთა დაპატიმრება-წამება მოჰყვა, რომლებიც ფაქტიურად კრიმინალური მთავრობის პროვოკაციის მსხვერპლი გახდნენ.

ამ დროისათვის (1992 წლის 6 იანვრიდან) საკმოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა მოსალოდნელი საშიშროების გამოსაცნობად. პირველ რიგში, ეს ჩვენი სახლის ტელეფონის ეტყობოდა, – მთავრობის მიერ დაგვამილი ახალი პროვოკაციის, ან ახალი სადამსჯელო ოპერაციის დღის დადგომამდე იგი გაითიშებოდა და მხოლოდ პოსტფაქტუმ ჩაირთვებოდა. ტელეფონზე მოსმენა ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც ატევისის არაერთ თანამშრომელს დაუდასტურებია მოგვიანებით. და კიდევ, ყველაზე უწყურარი, ჩვენი კორპუსის წინ და მიმდებარე ტერიტორიაზე უცხო ადამიანების გამიზნა იყო, რაც ჩემს შეილებს და მათ თანატოლებს არასოდეს გამორჩენიათ.

ასე მოხდა 1992 წლის 24 ივნისს, ტელეფონი 22-ში გაითიშა, 24-ში დილაადრიან მეგობარი მესტუმრა და ბოლნისში გაყოლა მიხვოვა. ვიფიქრე ბოლნისის სიონს მაინც ვნახვი, მაგრამ იქამდე ვერ ჩავადწიეთ, ასურეთის გადასახვევთან რადიოში განგაშის და შევარდანადის სუფიერი შედის, ორინა სარიშვილის მოწოდებები და „მამა და მარჩენალის თანდგომისთვის“ ხალხის გამოსვლის მოთხოვნები გაისმა – „...თქვენ ნუ გეშინიათ, შურდაიას და მის ბანდას ჩვენ ტელევიზიას და საქართველოს არ დავუთმოთ!!!“

მეგობარს ვთხოვე და მაშინვე თბილისისკენ მოვბრუნდით. მარაბდის „ტექ“-თან გზა გადაკეტილი დავგხვდა, ვინმესთვის თხოვნას აზრი არ ჰქონდა. სწორედ ამ დროს, ბნე ზურბა მაჩაიძე გამიჩნდა, კწანისის მილიციის უფროსი. დავუგანახვარ და თვითონვე მოვიდა ჩემთან, „გაიგებდით, რაც მოხდა, ბოდიშს მოგისდით ბატონო დავით, რომ გავიშეთ მაინც ვერ გახვალთ, გზა სატვირთო მანქანებით არის გადახვეტილი“.

– მე აქ ვერ დავრჩები, შეიძლება სახლში მომაკითხონ და რომ არ დავხვდე ოჯახს ამიწოკებენ, სოფელ გამარჯვებიდან შემოვუვლი მეთქი და დავეშვედობე.

დაბნეული ხმით მითხრა, ნუ გეშინიათ, მე ახლად რაციით დავგანაპარაკებო და თანამშრომელს ვავაგზავნი თქვენებთან, ფრთხილად იარეთ, ისე ყველა შესასვლელი ჩაკეტილი იქნებაო!

მართლაც ყველგან ჩაკეტილი დავგხვდა ქალაქში შემოსასვლელი. ჩემი სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი ერთ მიგარდნილ შემოსასვლელს, რომელიც მართლაც არავის გახსენებოდა. აფრიკიდან, ჭიჭინადის ქუჩით

შემოვედით ქალაქში.

11 საათზე, თითქმის ყველაფერი დათავრებული იყო. აღფრთოვანებული დიქტორი სპექტაკლის წარმადებულ ფინალზე, დანნავას და მისი კრიმინალების საგმირო საქმეებზე, შურდაიას და მისი თანამოაზრე „სამ-შობლოს მოღალატეების“ ტყვედ აყვანაზე და მათ რაოდენობაზე ყვებოდა...

სახლში მართლა მოსულან მილიციის თანამშრომლები და უთქვამთ, რომ ბატონი დავითი რუსთაველა და არ შეგეშინდეთ, მალე მოვაო...

მეორე დილას, ჩვენი მეოთხე შეილი ოთხი თვის გახდა. ბავშვებს ჯერ კიდევ ძინათო. მე აბახანაში ვიყავი შესული, კარებზე ზარის ხმა რომ გაისმა. მეუღლე შემომეხმიანა, შენთან არიანო მოსული. პოლში ახალგაზრდა კაცი დამხვდა, მორიდებით მომასხენა:

„ქალაქის პოლიციის სამმართველოდან ვარ გამოძიებული, სამმართველოს უფროსს გუშინდელ ამბავზე უნდა თქვენთან გასაუბრება და უნდა გამოიყვეთო“. არც მიფიქრია შეპასუხება, ის კი ვთქვი, პოლიციამ კარგად იცის მე ვინ ვარ და ასე დილაუთენია რატომ მოისურვეს მეთქი ჩემთან საუბარი!

„– ალბათ დიდხანს არ დაგაყოვნებთ და სახლში ჩვენვე წამოვიყვანით!“

მეუღლემ მოხვოვა, – რომ მობრუნდები, ბავშვებისთვის რძე და შაქარი წამოშეღო.

ათი დღე გაგრძელდა ჩემი მობრუნება პოლიციის სამმართველოდან, ვიდრე მაშინდელი შსს-ს მინისტრი, ბატონი რომან გვენცაძე პირდად დაურეკავდა საპატიმროს უფროსს, თუ არ ცდვები, გვარად გაფრინდა შეილს...

... 24 ივნისის სპექტაკლიდან მე-40 დღეს,

ბნ ვალტერ შურდაიას ისტორიული სიტყვის შემდეგ (მე ცოტნეს გმირობას ვადარებ მას, რადგან არ მომეპოვება მეორე ქართველი, რომელსაც იმ დროს გაერისკა თავისი სახელი და ავტორიტეტი უჯიშოთა მიერ შემოთავაზებულ სასწორზე შევედო, რასაც არავინ იცოდა რა მოჰყვებოდა!) ყველა პატიმარი განათავისუფლეს, რომელთა დიდმა უმრავლესობამ გაუგონარი სისასტიკე გადაიტანა კრიმინალური მთავრობის საყრდობილებში.

პირველი დიდი ხმაურის შემდეგ, მალევე დარწმუნდა შევარდანაძე და მისი კრიმინალიტეტი, რომ ეს სპექტაკლი უშედეგო აღმოჩნდა... კიდევ უფრო პატივსაცემი გახდა ის ხალხი, რომელთა სახელის გასატყვობად მოქყო ყველაფერი ეს.

საჭირო იყო უფრო მასშტაბურის და დაუნდობელი აქციის მოწყობა, რაც ხალხს მართლაც შეძრავდა და ეროვნული ძაღების წინააღმდეგ ამხედრებდა. ეს დროც დადგა, აგვისტოს დასაწყისში, ზუგდიდში, ბნ გრიშა ქობალიას სახლიდან გაიტაცეს თბილისიდან მოლაპარაკებაზე ჩასული სამთავრობო დელეგაციის წევრები, ადგილობრივი საზოგადოების პატივსაცემ წარმომადგენლებთან ერთად. ბატონების: რომან გვენცაძის, დავით სარაღიძის, სანდრო კაცსაძის, ზიბერტ ხაზალიას, ოთარ ფაცაცაძის, კუკური როგავას და სხვების გატაცება ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგობის ჯგუფს დაბრადდა და ყველა პროპაგანდისტული და სააგიტაციო საშუალება, ქვეყნის მოსახლეობას სამეგრელოს წინააღმდეგ განაწყოდა.

ამკარად ჩანდა, რომ მართლაც, აქამდე გაუგონარი ამბავი იგვეგებოდა. შევარდანაძეს მიყვდული ოპოზიცია, თავისი იდეოლოგიით სათავეში ედგა კრიმინალურ ძაღებს, რომლებიც ყოველ დამახებაზე მზად იყვნენ საკუთარი ხალხის, მით უმეტეს იმ დროს საყოველთაოდ მოძულებული სამეგრელოს დასარბევად და გასანადგურებლად.

ეს ყველაფერი დადასტურდა კიდევ 12 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის წინ გამართულ მიტინგზე. სადაც სარიშვილებთან, ჭანტურიებთან, შკიაშვილებთან, ჯუღილებთან ერთად თავისი ისტორიული სიტყვა ელდარ შენგელაიაძე წარმოიტყვა, რომელიც დაახლოებით ასე ელდრდა: „...მე აქ მოვისმინე საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელთა გამოსვლა, რომლებიც მოითხოვენ „მტერი საკუთარ ბუნავში უნდა განადგურდეს“. მე ვეთანხმები მათ და მოვითხოვ ეს მალევე მოხდეს. თავის დროზე დიდ დავით აღმაშენებელსაც მოუწია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც ქართველთა დიდი სისხლი მოჰყვა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით თუ როგორი საქართველო დავგიტოვასანაცვლოდ!“ სიტყვას ოვაციები მოჰყვა, მომიტინგეები შეავგულაინეს და იქ შეკრებილებმა საქმის დაქარება თხოვეს მათ.

მიტინგი შუადღის ორ საათზე დაიშალა.

...გვიან ნაშუადღევს, თურმე კარგა ხნით ადრე მომხადებული ჯარი, გია ყარყარაშვილის და ბესო ქუთათელაძის მეთაურობით სამეგრელოსკენ დაიძრა!..

გაგრძელება იქნება

ამის დაბარების, ან დაბიწების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიკოს
წიგნიდან "პავსასია")

კონცერტის შემდგომ, მესამე დღეს, პლატონ ფანცულაიას ანსამბლი თბილისს ესტუმრა. კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. თითოეული ცეკვა და სიმღერა რამდენჯერმე გაიმეორებინეს.

1934 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალურ ცხოვრებაში. ამ წელს ჩატარდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა პირველი ოლიმპიადი, რომელშიც აფხაზეთის ანსამბლმა პლატონ ფანცულაიას ხელმძღვანელობით მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიადის ეიურიმ ნაციონალური აფხაზური სიმღერების შესრულებისათვის გუნდს ამიერკავკასიის აღმასკომის პირველი თანრიგის სიგელი და ფულადი პრემია მიანიჭა, ცეკვების შესრულებისთვისაც პრემია და სიგელი დაიმსახურა და გამარჯვებული დაბრუნდა სოხუმში.

1935 წლის ივნისში გუნდმა ორი კონცერტი გამართა სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. პროგრამაში ჰქონდათ: “შრომის სიმღერა”, “მონადირეთა სიმღერა”, “საქორწინო ცეკვა”, “სიმღერა გაგრაზე”, “მგზავრული”, “სიმღერა მამაჯირზე”, “ფშეიაჭა”, “საღამან ბლადეა”, “აზარი”, “აბბარკრა-შარათინი” (აფხაზური საფერხული ცეკვა) და სხვ.

რეპერტუარში, აფხაზური სიმღერების გარდა, დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები და ცეკვებიც იყო შესული, რაც მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

1936 წელს აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ ეწვია თბილისს და ორი კონცერტი გამართა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მსგავსი წარმატება, რაც აფხაზეთის ანსამბლს მაშინ ხელა წილად, იშვიათად თუ რეგობა იმ დროს სხვა შემოქმედებით კოლექტივს. საქართველოს რესპუბლიკურმა გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლას. გაზეთი “კომუნისტი” 3 ივლისის ნომერში წერდა: “30 ივნისის თბილისის მაყურებელს საშუალება ჰქონდა ენახა ამ ანსამბლის მიერ გამართული ფრიალ შინაარსიანი და მრავალფეროვანი

კონცერტი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ ანსამბლს ბევრი ახალი ხალხური სიმღერა და ცეკვა დაუმუშავებია და შეუსწავლია. კარგ მომღერლებთან ერთად ანსამბლს ჰყავს შესანიშნავი მოცეკვავეები, რომლებიც ბრწყინვალედ დაუფლებიან ცეკვის რთულ ილეთებს და უდიდესი სისადავით გადმოგვცემენ ხალხური რიტმის მთელ მშვენიერებას”.

პლატონ ფანცულაიამ რამდენიმე სიმღერა გააცოცხლა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მის მიერ დამუშავებული შრომის სადიდებელი პიში “ოდია”, რომელიც დღესაც ქართული ხალხური სიმღერის შედევრად არის მიჩნეული. მის მიერ დამუშავებულ სიმღერათა შორის ვხვდებით: “აბბარკრა შარათინს”, “მამაჯირებს”, მასობრივ საფერხულ ცეკვებსა და სხვ.

პლატონ ფანცულაიამ მრავალი ღირსეული მომღერალ-ლოტბარი აღზარდა, იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება და გაჭირვებაში ყველას თანადგომი. სწორედ ამ თვისებებმა შეუწყო ხელი მის უზომო პოპულარობას ხალხში. აღსანიშნავია მისი მეგობრობა ასტამურ მარლანისთან. ხალხური სიმღერის ამ შესანიშნავი ოსტატისაგან პლატონი სწავლობდა საგუნდო ხელოვნების ოსტატობას, ყოველთვის დიდი ყურადღებით იყო განწყობილი უფროსი მეგობრის მიმართ.

1938 წელს პლატონი მოულოდნელად გამოიძახეს თბილისში. იმ დროს დედაქალაქში კიწი გეგეჭკორიც იმყოფებოდა; კიწი და პლატონი სასტუმრო “თბილისთან” შეხვედრიან ერთმანეთს. კიწის პლატონი სასაუბროდ თავისთან, სასტუმროში მიუწვევია. მეგობრებს დაუთქვამთ, საქმეების მოგვარების შემდეგ საღამოს ერთმანეთს სადილად შეეხედეთ. სამუხაროდ, პლატონი დათქმულ დროს აღარ გამოჩენილა.

მეორე დღეს კიწიმ კირილე პაჭკორი-ასგან შეიტყო, რომ პლატონი დაეპატიმრებინათ.

ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ცხოვრების გზა, მაგრამ სულ რაღაც 40 წლის მანძილზე ბევრი სიკეთე მოუტანა ადამიანებს, ორ მოძე ხალხს. პლატონ ფანცულაიას მსგავსი მოღვაწეები ქართველებსა და აფხაზებს უნაგებობს, გზად და ხილად გადებული სიყვარულის მაგალითად წადებება მომავალში.

სიმონ ჩიქოვანი

1902-1966

გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1902 წლის 27 დეკემბერს (1903 წლის 9 იანვარს) აბაშის რაიონის სოფელ ნახსაკოვში. მომავალი პოეტი ადრე დაობდა.

სიმონი სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. ხელმოკლეობის გამო, ზაფხულობით სოფელში ამუშავებდა მიწას და ასწავლიდა მეზობლის ბავშვებს. ასე აგროვებდა ფულს სწავლის გასაგრძელებლად. 1922 წელს თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლად და შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თან მუშაობდა წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში.

1924 წელს იწყებს ლექსების გამოქვეყნებას. სიმონ ჩიქოვანის პოეზიას საფუძვლად უდევს სოციალური მოტივები. მისი ლექსები გამსჭვალულია ახალი სიცოცხლის

სისავსით და ჩვენი საუკუნის ბოთქარი სულით. პოეტის შემოქმედებაში ძირითადი და მთავარი სამშობლოს, მეგობრობის, შრომის თემაა. განსაკუთრებით სამშობლოს თემა აღელვებს მას. ამ თემას მან უძღვნა ფართოდ გახმაურებული ლექსი “ვინა სთქვა”.

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ პოვდა, პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი...

პოეტის გულიდან ამოხეთქილი მღელვარე სიტყვები სამამულო ომის წლებში საგმირო პატრიოტული საქმეებისთვის ალაფრთოვანება სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

პოეტმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, იყო ხევსურეთში, სვანეთში, რამაც შთააღორა პოეტს ლექსების ციკლი “**შემოდგომა ხახმატში**”, “**უშგული**”, “**სვანური იანვანი**”. ამ კუთხეებში მოგზაურობა დაემთხვა პოეტის გარდატეხის პერიოდს, რომელ-

საც სიმონმა “**ფერისცვალება**” უწოდა. “**ეს არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების და სიმორცხვის ჟამი**”.

გარდატეხის პერიოდთან დაკავშირებით ს. ჩიქოვანს უბის წიგნაკში ჩაუწერია: “**ჩემი ნამდვილი არსებობა დაიწყო მას შემდეგ, რაც დაიწერა ლექსები: “წვიმაში”, “უშგული”, “მიძვინა ვარძის ოსტატისადმი”, “თეიმურაზ პირველი”, “განშორება”, “შენი ჩრდილის საძებნელად**”.

“**ფერისცვალების**” შემდეგ, სიმონ ჩიქოვანი ჩამოყალიბდა როგორც ბუნების მესაიდუმლე, ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად შემგრძნობი, სამყაროს პირველხილვის სიხარულით აღგზნებული შემოქმედი. პოეტი წარსულს გადმოგვცემს თანამედროვე ადამიანის განცდით. ალბათ ამიტომ იყო, რომ გიორგი ლეონიძემ სიმონ ჩიქოვანს უწოდა “**ახალი პოეზიის ჩუქურთმის მტრელი**”, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ შენიშნა – სიმონ ჩიქოვანი გამოირჩევა ლექსური ინსტრუმენტის ვირტუოზული ორკესტრირებით.

სიმონ ჩიქოვანი უსაზღვროდა შეყვარებული ქართულ ლექსზე. იგი თავიანთ სცემს ქართულ სიტყვას. ქართული სიტყვა თავთავია, ხილია, ნაყოფია, იგი მტევანია. ქართული სიტყვა უკედავია. იგი სულის სასწორზე ავ-

წოწო – ამბობს პოეტი.

პოეტის შემოქმედების დაგვიგინებაა პოემა “**სიმღერა დავით გურამიშვილზე**”, რომელშიაც გულის დიდი სიბოთით და ღრმა განცდით დახატა დიდებულის წინაპრის სახე.

სიმონ ჩიქოვანი დაძაბულ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა მაშინაც კი, როცა უკურნებელი სენით დაავადებულმა მხედველობა დაკარგა. ავადმყოფობის დროს დაწერა პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში “**განჯის დღიური**”, რომელიც დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას მიეძღვნა.

სახელმწიფო პრემიის ღაურეატი სიმონ ჩიქოვანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, იყო ჟურნალ “**მნათობის**” მთავარი რედაქტორი.

სიმონ ჩიქოვანი 1966 წლის 24 აპრილს გარდაიცვალა, 28 აპრილს მისი ნეშტი მთაბარეს მთაწმინდის მიწას.


ერთი დეტალი:

1941 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრებისას გახსნეს პიტიახშის საფლავი, აღმოჩნდა: ბროწეულის ხის ფეხს გაერღვია სერაფიტას სამარხი და სამაჯურში გასულიყო. ამ ამბავს პოეტმა უძღვნა ლექსი “**ბროწეული**”


პიტიახშის სამარხზე” და ინტრა: **მოწეული ბროწეული, გადმოფრინდი, შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.**

აუხდა პოეტს სურვილი, – მის საფლავზე დარგულია ბროწეულის ხე. საფლავის მარმარლოს ფილის შუაში მოხრილი ისარია, რომელიც ელვას ანსახიერებს და პოეტის მხედველობის უეცარ დაკარგვას გამოხატავს. ბროწეულის ფესვებზე მუქი ქალბატონ მარიკას ვერფლით პატარა ურნაა ჩადგმული.

სიმონ ჩიქოვანის ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოეთის ენებზე.



სამეგრელო და სვანეთი კორნელი ბოროზდინი



კოლუბიაკინის წერილის მომტანს მახარობელს უნაგირიანი ცხენი და ახი ოქრო ვაჩუქეთ და საუცხოვოდაც გავუ- მასპინძლდით.

ბოლოს, დედოფალი მომბრუნდა და მითხრა: **“ჩემი შვილები თქვენთვის ჩამიბარებია, მე კი ხვალვე ჩვენს ჯართან წავალ და იმათთან დავრჩები”**.

მეორე დღეს, მართლაც, დედოფალი მურიდან წავიდა. მე და ბავშვები აქ ერთი თვენახევარზე მეტი დავრჩით. საშინელი თოვლი მოვიდა; სამი დღე-ღამე მოდიოდა და გზები ყველგან შეკრა. თოვლი იმდენი დასდო, რომ როცა გადაიღო, მსახურნი სანადიროდ წავიდნენ. თოვლს მოულოდ- ნელად მოესწრო ნადირისათვის, ასე რომ მათი დაჭერა ადვილი იყო. ცოცხლად მოგვიყვანეს რვა შველი და ერთიც მელა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით არამც თუ ომერ-ფაშას, არამედ მიუღწეველ ქვეყანას.

გორდზე გაგლის დროს დედოფალმა გაიგო, რომ სასახლე ზუგდიდში ოს- მალეების ყაზარმად უქცევიათ და შიგ ბატონობდა ისკანდერ-ფაშა, პოლონელთა მოღალატე, გრაფი ილინსკი, რომელსაც თავის მოვალეობად დაუსახავს დედ- ოფლისთვის შემდეგი წერილი მიუწერნა: **“ბანაკი ზუგდიდთან, 22 ნოემბერს (3 დეკემბერს) 1855 წ.**

თქვენო უგანათლებულესობა!
“ზუგდიდში იმდენი ჯარი მოვიყვანე, რომ სამყოფია დაცვა სიცოცხლე და ქონება აქაურთა მკვიდრთა და აგრეთვე უცხოელთა, რომელთა აქ დასახლებას მოისურვებენ. პატივი მაქვს მოგახსენო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მე იძულებული გახედი ჯარი თქვენს სასახლეში დამებინავებინა. რაიცა შეეხება იმ ნივთებს, რომელნიც აქ თქვენს უგანათლებულესობას დაუტოვებია, ყოვე- ლივე ზომა ვიხმარე, არაფერი დავარგოს.

“თავადი ნიკო დგებუაძე, თქვენის უგანათლებულესობის წარმომადგენელი, და პეტრე მხეიძე იმის მოწმენი არიან: ჩემი აზრი ის გახლავთ, რომ სამართლიანად მოვეპყრა ამ ქვეყნის მკვიდრთა. სანამ მეგრელები თოვს არ გვესვრიან, მათს სიც- ოცხლესა და ავლა-დიდებას ხელს არავინ ახლებს. მაგრამ, დმერთმა კი ნუ ჰქნას, და თუ რომელსამე მარტოდ დარჩენილ ან გზადაკარგულ ჯარისკაცის გაძარცვა ან მოკვლა განმეორდა, იძულებული ვიქნები ყოვლადის უღმრთელობით შური ვიძიო.

“თქვენს უგანათლებულესობასა ესთხო- ოვ გამოუცხადოს სამეგრელოს მკვიდრთ დარჩენ სოფლებში და თავიანთ საქმეებს მოჰკიდონ ხელი, თან ვსარგებლობ ამ შემთხვევით და თქვენს უგანათლებულე- სობას ვუცხადებ ჩემს ღრმა პატივისცემას.

დავითი თქვენის უგანათლებულესო- ბის უმორჩილესი მონა

მეჰმედ-ისკანდერ-იბლაჰილი, ოსმალთ მხედართმთავარი”.

წერილის კილოზე ეტყობოდა, რომ პან ილინსკი მკაცრის ხასიათის კაცი იყო და ბევრის ბოდიშის თავი არა ჰქონდა; მართ- ლაც, სამეგრელოში ყველას ასეთ კაცად ახსოვს, ყოველ ღამე გაღეშილი იყო,

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარი- აში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაველინეს მიწერ-მოწერის საწარ- მოვლადა და მისი შვილების აღ- მზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოვლენებში საკ- მაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღადგმეს.

რადგან მთავრის მარანი ხელთა ჰქონდა, და ამ დროს უწყალოდ სჯიდა როგორც თავის ხელქვეითებს, ისე ადგილობრივ მკვიდრთა.

თავად მხეიძეს, ზუგდიდის მდივანბეგს, ილინსკიმ დასწამა, რუსების ჯაშუში ხარო, ამიტომ იხმოვდა ხოლმე თავისთან, სტან- ჯავდა, იქნება, ვატიქმეინო რამეო, ხან- დისხან აპატიმრებდა კიდევ, მერე გა- მოუშვებდა და იმასთან ერთად ღოთობ- და. ზუგდიდში, გრიგოლ დადიანის სახლ- ში, ისკანდერ-ფაშამ ოსმალეების გოსპო- ტალიც გამართა.

ომერ-ფაშას დაბრუნება ყულევიში
ნოემბრის 26 დედოფალი უკვე იმერეთს იყო, დაბა ხონში (ხონში მთავარი ბანაკი იყო გურულების რაზმისა 1855 წლის ნოემ- ბრიდან ომის გათავებამდე). მეგრელთა მილიციას წარუდგა დედოფალი და ცხ- ენის-წყალში გავიდა; რამდენჯერმე მონ- აწილვრობას იღებდა მტერთან ბრძოლაში. მტრის ბანაკიდან არ უსვენებდნენ, არწ- მუნებდნენ – გვებრალებით და თქვენს სიკეთეს ეფიქრობით. ერთბაშად ორი წერილი მოუვიდა, ფრანგულად დაწერილი:

მთავარი ბანაკი ოსმალეებისა, სამეგრე- ლო,

6 დეკემბერს (25 ნოემბერს), 1855 წელს.

ბატონიშვილო!

“მისის უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასიის ქვეყნებ- ში აგენტად გამოგზავნა. პატივი მაქვს გამოუცხადო თქვენს უგანათლებულე- სობას, რომ მზად გახლავართ შეგარდით თქვენა და მარშალი ომერ-ფაშა, სარდალი ოსმალის ჯარებისა. თუ კიდევ არ დაუბრუნდით თქვენის სამთავროის რეზი- დენციას, ჩვენის აზრით, ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება, რო- გორც თქვენთა უფლებათა, ისე თქვენთა ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის შესახებ. მათი მდგომარეობა დღითი-დღე გაუმჯობესი ხდება, რაიცა შეეხება ოსმალთა ჯარის ქცევას, უნდა მოგახსენოთ, რომ მისის უფროსის სიბრძნისა და კეთილ-შო- ბილობის წყალობით, მეგრელები იმათს ძვირს ვერ იტყვიან; გარდა ამისა, თამამად შემოიძლია მოგახსენოთ, რომ შემდეგშია ცხ- ასე კარგად მოექცევიან სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ უწყსობა შინაურებაში დიდია, მეზობლები ხშირად ესხმიან თავსა და აწიოკებენ; ომერ-ფაშა ამ შემთხვევაში განზე დგას, არაფერში ერევა, – ჩემი საქმე არ არისო. პირიქით, მისინი განზრახვანი,

ვერეთვე ჩემნიცა, გვაიძულებენ არ ჩაე- რიოთ იმ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, რომელნიც ოსმალის დაუპყრია. ამიტომ, თუ რამ უბედურება დაატყდათ თავს სამ- თავროის მკვიდრთ, ბრალი იმ უფროსების იქნება, ვინც, საჭირო არ იყო ისე, თავის ქვე- შევრდომთ თავი დაანებეს. სასტიკად მხ- ოლოდ მაშინ მოიქცევა მარშალი, თუ შინ- აურამ უწყსობამ საზღვარს გადაცილა. ამ შემთხვევაში ომერ-ფაშა იძულებული იქნება ახალი მთავრობა დააწესოს

სამეგრელოში, რომ თავისი ჯარი უფრო უზრუნველ ჰყოს ყოველ მოსალოდნელ ხი- ფათისაგან. თქვენის უგანათლებულესო- ბისა და თქვენის შვილების საკუთარი ინ- ტერესი მოითხოვს ეს მიმე საქმე რო- გორმე ჩქარა გაათავოთ.

“ჩემი ამხანაგი, ბატონი შამაჟაზონი, აგენტი საფრანგეთის სახელმწიფოსი, დროებით სხვაგან გეახლათ, მაგრამ მე გ- ისრულობ იმას, რომ ამ საგნის შესახებ ჩვენ ორნივე ერთის აზრისანი ვართ და მი- სის მთავრობისაგან იგივე დარიგება აქვს, როგორიც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა უგანათლებულესობამ საჭიროდ დაინახოთ გეახლოთ თქვენთან. თქვენი სურვილი მაშინ შემოიძლია ადვასრულო, თუ უბრძანებთ გზაში არაფერი შემემთხვეს.

დავითი უდრმესის პატივისცემით უმდაბლესი და უმორჩილესი მონა-მსახური თქვენის უგანათლებუ- ლობისა ფ. ლონგუორტი.”

აი მეორე წერილიცა, ისიც ფრანგულად დაწერილი:

“ბანაკი და მთავარი სადგომი სოფ. ონტოფოში, 6 დეკემბერს (25 ნოემბერს) 1855წ.

ბატონიშვილო!

საკვირველი არ არის, რომ თქვენი უგანათლებულესობა ამდენს ყოყმანობს.

მართალია, ამდენი ყოყმანობა, როგორც მანდილოსანს, გეპატიებათ, მაგრამ თუ კიდევ გასტანა, სავალალო იქნება თქვენისა და თქვენის შვილების ინტერესებისათვის.

რუსები ძლევდნენ იქმნენ დუნაზე, ყირიმში, ინ- გურზე, ყველგან, სადაც კი მტერი შეხვდა. თქვენს უგანათლებულესობას კარგად უნდა მოესხენებოდეს, რომ იმათ არ ძალუთ კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნები შეიჩი- ნონ. მერე რა ღონე უნდა იდნო ამისთვის? არაფერი. სულ უკან-უკან იხევნენ, ცეცხლს უკიდებენ თავის მაღაზიებსა, თავის სურ- სათსა, კერძო პირთა ქონებასაც არა ჰზო- გავენ, და ამავე დროს ვერა ჰბედავენ და არც შეუძლიათ გაუმკლავდნენ მტერს.

მთელ ერთ საუკუნის განმავლობაში უნდა იბრძოლოს რუსეთმა, მთელის საუკუ- ნის განმავლობაში უნდა ღვაროს თავისი ჯარის სისხლი, რომ, ოდნავაც არის, დაიპყ- როს კავკასია, ეს უპატრონოდ დარჩენილი და ყველასაგან მივიწყებული მხარე.

“ვერობამ ახლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივის სიძნელითა და სიღარიბით შეწუხებულნი,

გაათავისუფლოს; ევროპას მსურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულს ხალხს; რომ განძით და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისათვის მოუმაძღვებია, თქვენვე სარგებლობდეთ.

“ასე და ამ გეგარად, ჩვენ გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი უგანათლებულესობა კი ყოყმანობ!

ნება გებრძოთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი უგანათლებულესობა ბრძან- დებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევდროთა რუსეთისა.

“დმერთმა ჩაგაბარათ თქვენ ინტერესე- ბი თქვენის ქვეყნისა, თქვენის შვილებისა, თქვენის კუთხეულის ხარისხისა.

“აქაური ხალხი და ქვეყნები სხვის ხელ- ში თავისდღეში არ იქნებიან, მაგრამ, ვინ იცის, მოკავშირე სახელმწიფოებს, შეი- ძლება, თავი მოჰბეზრდეთ თქვენის ყოყ- მობით. იტყვიან, ამდენს ხალხის დატოვე- ბა უპატრონოდ არ შეიძლებაო, თქვენზე იტყვიან – ამდენხანს იმიტომა ჯიოჭობს.

აქედან თავის ნებით იმიტომ გაიხიზნა, რომ მთავრობაზე ხელი აიღოვო და თქვენს მა- გივრად სხვა თავადს დანიშნავენ მმართვე- ლად.

“მე კარგად მესმის, თუ რა ძნელია ამ შემთხვევაში თქვენი მდგომარეობა, რო- გორც ქალისა, მაგრამ რაკი თქვენს უგანათლებულესობას მთელი ერის უფროსობა გაბარიათ, რაკი ვაღდებული ბრძანდებით იზრუნოთ თქვენის შვილების ინტერესისათვის, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა ხელის გამოღება, რისამე გაკეთე- ბა.

“თქვენო უგანათლებულესობა, მაპატი- ეთ ჩემი გულახდილი ლაპარაკი; თქვენ თვითონ დაინახავთ, რომ ასე გულახდი- ლად იმიტომ მოგახსენეთ ყველაფერი, რომ თქვენის უგანათლებულესობის მოწი- წებითი პატივისცემა მაქვს.

გენერალური შტაბის კოლონელი, იმ- პერატორის ბრძანებით მყოფი

მისს ბრწყინვალეობა გენერალისიმუს ომერ-ფაშასთან.

გრაფი მეფრე...”

ამ ორ წერილიდან ნათლად ჩნდა, რომ ომერ-ფაშა მიხვდა, დედოფალს ზუგდიდ- ში ჩემის რჩევით ვერ მოვიყვანო და უკანასკნელ საშუალებას მიჰმართა, – შეეცადა ფონს გასულიყო მასთან მყოფ ინგლისის აგენტის გრაფ მეფრეს, საგრანგეთის კოლონელის დახმარებით. ძალიან შეეცადნენ ორნივე, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ და ამას შემდეგ ოსმალთ ბანაკიდან დედოფალს წერილი არ მოსვლია.

ამასობაში, გენერალმა მურავიოვმა გურიის რაზმს შეიდი ბატალიონი ჯარი მიაშველა. იმერეთი სიხარულმა მოიცვა, როცა გაისმა – ჯარი სურამს გადმოსც- დაო. ქუთაისში ყველანი თავზარდაცემულ- ნი იყვნენ: ომერ-ფაშა 25 ვერსის მანძილზე იღბა ქუთაისიდან, ხოლო გურიის რაზმისა ბევრი არაფერი იმედი ჰქონდა ვისმე. ქალაქიდან საჩქაროდ ეზიდებოდნენ კანცე- ლარიის საქმეებს და ხაზინას ტფილისში. სახლების ფასები დაეცა, საცაა ოსმალეები შემოვლენ, აქაურობას აიკლევნენ და გადასწყვეტდნენ და ცდილობდნენ გაეყინათ. ამ დროით ისარგებლა ერთმა აფერისტმა და ერთი მშვენიერი სახლი ვრცელის ეზოთი ორას თუმნად იყიდა, ხოლო ერთი წლის უკან იმავე სახლში ათასოთხას თუ- მანს აძლევდნენ, მაგრამ არ ჰყიდდა. სანოვაგე აღარ შემოჰქონდათ, ყველაფერზე საშინლად იმატა ფასებმა: ქილა ფქვილი, მაგალითად, 9 მანეთად ღირდა, ფუთი შაქარი – 28 მანეთი, ყოველსავე ამასთან ქაღალდის ფულის ფასი საშინლად დავარდა, მცხოვრებთა სანოვაროების მხ- ოლოდ ოქრო-ვერცხლის ფული მოჰქონდათ, ქაღალდის ფულს არავინ დებულობდა, ასე რომ ზუგდიდში ერთმა მეღუქნემ ათ თუმ- ნიანი ქაღალდის ფული ხუთი მანეთის ვერცხლად იყიდა. ამიტომ, ადვილი წარ- მოსადგენია, თუ რა სიხარული შეუდგათ ქუთათურებს, როცა გაიგეს – ახალი ჯარი მოდის ჩვენა საშველადო.

ომერ-ფაშამ რომ გაიგო, გურიის რაზმს ახალი ჯარი მიაშველესო, იმერეთის საზღ- ვარს თავი ანება. ამავე დროს ტფილ- ისიდან თავადი ბეგუთოვი ჩამოვიდა და ქვაშხორში დედოფალი ინახულა. ეკა- ტერინემ თავისი გაჭირვებული მდგო- მარეობა ყველაფერი უამბო.

რაკი რუსებმა ყარსი აიღეს, ოსმალის მთავარ-სარდალს უკან უნდა დაეხია, სხვა გზა არა ჰქონდა: როცა სამეგრელოზე გაილაშქრა, აზრად მხოლოდ ისა ჰქონდა, რომ გენერალი მურავიოვი ყარსისათვის მოე- შორებინა, მაგრამ საწადელს ვერ წვია. ეს ერთი. მეორეც, იძულებული იყო აქაურობას გასცდოდა იმიტომ, რომ ძალიან ეცადა, მა- გრამ სამეგრელოს მცხოვრებლებთან ვერ- აეთიარი კავშირი დაამყარა, ვერც დედოფალი გადაიბირა თავის მხარეზე. ჯერ მცხ- ოვრები მაშინაც კი დაუხვდნენ მტრულად და იარაღიც კი იხმარეს ოსმალთ წინააღ- მდეგ როცა რუსებმა თავი გაანებეს აქაუ- რობას. ახლა, როცა რუსები ღონემოკრე- ბილნი დაბრუნდებიან უკან, მაშინ მით უფრო აიღებენ ხელში იარაღს და ჩემი მდ- გომარეობაც უფრო საშიში გახდებაო.

ომერ-ფაშის ჯარს, ცხენის-წყლისაკენ წასვლის დროს, მეგრ. მდ. ხობის წყლისა- კენ გამობრუნებაზე, მეტად ცუდი დარი- შეესწრო. გზებიც მეტად გაუვალად იყო და იმან ძალიან შეაფხვტა. გზები იმდენად გა- ფუჭებული იყო და სოფლებიც ისეთი ხვდებოდა გასავლელი, რომ სოფ. ონტო- ფოში, მაგალითად, ერთი ზარბაზანი ჩაე- ფლოთ ტალახში და სოფლებმა მხოლოდ ერთ წელს უკან ამოათრიათ რის წვალებით. მდინარეები ყველა საშინლად ადიდდა გადაუღებელ წვიმებისაგან, ყველ- გან საფლობები განნდა, ასე რომ გურიის რაზმისათვის შეუძლებელი შეიქმნა ოს- მალის რაზმს გასდევნებოდა უკან. იმისი ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენც ის დღე დაგ- ვადგეს, რა დღესაც ოსმალთ ჯარს დაადგა ამ გზებით სიარულოთაო. გური- ის რაზმიდან ერთი ნაწილი გამოარჩიეს, შეუერთეს ღონელ ყაზახთა ერთი ბატალ- იონი და ორასი კაცი მილიცია სახაზო ყაზახთა, ცხენის-წყალში გადაიყვანეს და უკან გაადევნეს ომერ-ფაშას.

გაგრძელება იქნება

**ეკონომიკური
სიტუაცია რუსეთში
გაზაფხულზე
გაუმჯობესებას
დაიწყებს**

რუსეთის ეკონომიკის დაცემა იანვარში 2,4%-ით იყო საგარეულო, მაგრამ სიტუაცია დაიწეებს შეცვლას უკეთესობისაკენ უკვე გაზაფხულზე, — მიიჩნევენ რია „ნოვოსტის“ მიერ გამოკითხული ექსპერტები.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კლგორა ნაბიულინამ განაცხადა, რომ რუსეთის შინაგანი მთლიანი პროდუქცია იანვარში სუზონურობის (პირველ რიგში, იანვრის ხანგრძლივი არდადეგების გამო) გათვალისწინებით შემცირდა 2,4%-ით. მიმდინარე სიტუაციას ეკონომიკაში მინისტრმა უწოდა საკმაოდ რთული და განაცხადა, რომ ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება პირველი კვარტლის ბოლომდე.

ამ დროს ქვეყნის ეკონომისტები ერთსულოვნებით არიან იმაში, რომ მხოლოდ იანვრით არ დამთავრდება ეკონომიკური დაცემა. ბანკ „ტრასტის“ ანალიტიკოსის ევგენი ნედორშინის აზრით, შინაგანი მთლიანი პროდუქციის დაქვეითება არ შემოიფარგლება პირველი კვარტლით და გაგრძელდება რამდენიმე თვე, მაგრამ გარდატეხა შეიძლება დაიწყოს აპრილ-მაისში.

**სააკაშვილი —
იუზენკო: ღშეპტი
ბანდურაზე**

„მომბეზრდა თქვენი აყროლუებული გაზი“, — ასეთ რამეს ყოველ კომუნალურ სამზარეულოში როდი გაიგონებ. „როდესაც გვეუბნებიან, რომ საქართველომ უნდა გადაიხადოს კუბურ მეტრზე 235 დოლარი, ეს ისეა, როგორც „საფერავი“ — ყველაზე მომწამლავი ნივთიერება მსოფლიოში“.

ეს გამონათქვამები ეკუთვნის ორი დამოუკიდებელი ქვეყნის — უკრაინისა და საქართველოს ლიდერებს. ბატონი იუშენკო და ბატონი სააკაშვილი დიდად არ იწუხებენ თავს ამ საქმეში.

სხვათაშორის, ეს ორი პრეზიდენტის მხოლოდ ერთ რამეში მსგავსება როდია, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ ორი ფერადი რევოლუციის ტალღაზე. თუმცა არც ქუჩიდან მოსულან პრეზიდენტების სასახლეებში. ერთ-ერთმა დამთავრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, სწავლობდა სტრასბურგის ადამიანთა უფლებების ინსტიტუტში, ევროპული სამართლის აკადემიაში ფლორენციაში, კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. მეორეს, რომელმაც შრომითი საქმიანობა დაიწყო კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40-წლისთავში“ მთავარი ბუღალტრის

თანაშემწედ, აქვს უკრაინის დამსახურებული ეკონომისტის წოდება.

ორივეს „სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტს“ უწოდებენ. ბუნებრივია, პოლიტიკაში ორივე პროამერიკული კურსის მიმდევრები არიან.

ორი ხელმძღვანელის უტყუარ სხვაობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტად ყოფნის დროს შეძლო ხუთი პრემიერის შეცვლა. იუშენკომ კი წაიფორხილა მეორეზე. იულია ტიმოშენკო კი არ აღმოჩნდა მისი საკბილო. „გაზის ომში“ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი თავისი ყოფილი თანამოაზრის გამო იგი მზადაა, „მერალი გაზიც“ კი გასწიროს, და მხოლოდ იმისათვის, რომ მოახდინოს ტიმოშენკოს მთავრობის დისკრედიტაცია. მაგრამ პრეზიდენტის თავდასხმებს ყველა როდი უჭერს მხარს. მათმა საჯარო დავამ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე კიდევ უფრო დაბლა დასწია პრეზიდენტის ისედაც დაბალი რეიტინგი უკრაინელთა თვალში (აი, უკვე ორი თვეა, იგი 5%-ის დონეზეა).

ხელისუფლების შენარჩუნებისათვის სააკაშვილი მზადაა, გასწიროს თავისი მოქალაქეების ინტერესები. აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვთან ურთიერთობის გაწყვეტით მან

საგრძნობი დარტყმა მიაყენა რუსეთს. თანაც არა მხოლოდ ადამიანურობის თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკურადაც.

მაგრამ როგორ აამაღლონ ამ ორი ადამიანის რეიტინგი? იქნებ ეს მათმა ცოდებმა შეძლონ? არა გვეგონია. გინდ ის იყოს კატრინ კლერ ჩუმაჩენკო ფლორიდის შტატებიდან, გინდ სანდრა რულოვსკი, პოლანდიელი, არსებითად ორივე უცხოელი, რომლებსაც არ შეუძლიათ, შეიგრძნონ აქ სამოქალაქო ცხოვრების პულსი.

ჩიხიდან გამოსაყვებს, სადაც ისინი მიიყვანა საკუთარმა პოლიტიკამ, უკრაინისა და საქართველო



**მაკტამრინა მურომცევა
რია ნოვოსტი**

რამ ნააქსია ქართული ფეხბურთი...

ფეხბურთი ამ სპორტის გარიჟრაჟზე გახდებოდა უამრავი ჯილდოს მფლობელი. მაგრამ, თბილისის დინამოელებმა დრო იხელთეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ 1964 წლის დიდი პოლიტიკური არეულობის ქაშს, როცა მოსნეს ხრუშოვი, ლეონიდ ბრეჟნევი კი ჯერ კიდევ ვერ იყო სრულად გარკვეული საბჭოთა სპორტულ-პოლიტიკურ იდეოლოგიურ კონიუნქტურაში. თუმცა, ისიც უნდა ვიღავროთ, რომ მაშინ ფეხბურთი ქართველებისათვის უფრო პოლიტიკური აღმატების, სტადიონზე საბჭოთა იმპერიის და უფარავად ლანდისა და გულის მოფხანის ერთადერთი საშუალება უფრო გახლდათ, ვიდრე სპორტული ჟინის დაკმაყოფილების პროცესი. სხვაგვარად, საბჭოების წინააღმდეგ ობიექტური საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა ზუსტად ისე დამთავრდებოდა, როგორც ეს თბილისში მოხდა 1956 წლის მარტში, როცა კომუნისტებმა სისხლში ჩაახშვეს ქართველთა საპროტესტო დემონსტრაციები. კარგად იცოდნენ რა ყოველივე ამის თაობაზე, ფარად მომარჯვებული საბჭოთა ფეხბურთის ფონზე, მათი ჯობნისა და პირველობის სურვილით მუდამ გამსჭვალული ქართველი ფეხბურთელები ზოგჯერ არნახულ სპორტულ სიმაღლეებს იპყრობდნენ ხოლმე. საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი ასეთი დიდი გამარჯვება თბილისის დინამომ, *უფროსი ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით*, თავისი სი-

ძლიერის პიკზე, 1981 წლის 13 მაისს მოიპოვა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის „რეინშტადიონზე“, როცა ვეროპის თასების მფლობელთა თასის ტურნირის ფინალში ძალზე მძიმე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენას ცნობილი საფეხბურთო კლუბი „კარლ ცისი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკათა გუნდებიდან, მისი ფეხბურთის არსებობის მანძილზე ამგვარი მაღალი ჯილდოს მოპოვება მხოლოდ კიევის „დინამოელებმა“ შესძლეს, რომლებიც ასევე დიდად გამოირჩეოდნენ თამაშის კლასით სხვა საბჭოთა გუნდებს შორის. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერც იმ ფაქტს გავექცევით ვერსად, რომ დროთა განმავლობაში ქართული ფეხბურთი საბჭოთა ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ, როცა 1989 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სსრკ ფეხბურთის ფედერაციას გამოეყო, ექსპერტების აზრით, ეს გახლდათ პოლიტიკური ინერცია, რამაც უარყოფითი, თითქმის დამღუპველი როლი ითამაშა ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეში. მართალია, ქართულ ფეხბურთზე დამღუპველად იმოქმედა ე.წ. **„პროვინციალურმა კორუფციამ“**, როცა ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერი ხორციელდებოდა არა საერთაშორისო სტანდარტებით, არამედ საქართველოს პროვინციულ

ქალაქში მოქმედი ბაზრის პრინციპებით. მეორეც — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფაქტობრივად გახლდათ მსოფლიოს ერთ-ერთი კონტინენტის ჩემპიონატი, რადგან მასში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, ლატვიის, ლიტვის, ყაზახეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები, რომლებიც ლამის ამ ქვეყნების პირველ ნაკრებებს წარმოადგენდნენ. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ეს ფაქტი დასაწყისში უარყოფითად აისახებოდა ქართული ფეხბურთის ხარისხზე, მაგრამ, რატომღაც მიუღმა საქართველომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას. მართლაც, ფეხბურთელთა დამოუკიდებლობის გადაწყვეტილებამ მოგვიტანა უამრავი უარყოფითი შედეგი. უპირველესი გახლავთ ის, რომ ქართულმა ფეხბურთმა დაკარგა მთავარი სპორტული ბერკეტი — საბჭოთა კავშირის, ძირითადად კი რუსეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერეს გუნდებთან მოპოვებული გამარჯვების ჟინით საკუთარი პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილების საშუალება. მეორეც, საბჭოთა ფეხბურთის არენა ჩვენთვის გახლდათ ვეებერთელა საწვრთნელი სპორტული მოედანი, სადაც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ფეხბურთის კვალდაკვალ სისტემატურად იხვეწებოდა ქართული ფეხბურთის ტექნიკური ნიუანსები, მისი სტრატეგია და ტაქტიკა, იზრდებოდა ნიჭიერ

ფეხბურთელთა მთელი თაობები. და როცა, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში დაიხარა, ამ ნანგრევებში უპირველესად მოჰყვა სწორედ ქართული ფეხბურთი. მოხდა რეალური ცხოვრებისადმი სრულიად შეუთავსებადი რამ — სიკეთემ სიბოროტე მოგვიტანა. ქართულმა ფეხბურთმა სწრაფად დაკარგა ჩვეული სპორტული ფორმა და სანახაობრივი ხიბლი, რასაც მაყურებლის დაკარგვა მოჰყვა; ერთ დროს გადაესხებულ მრავალათასიან სტადიონებზე ახლა მხოლოდ რამდენიმე ათეული გულშემატკივარი თუ მივიღოდა ფეხბურთის მატჩებზე დასასწრებად. სამწუხაროდ, დრო გადის, საშველი კი არსიდან სჩანს. განა იგივე არ დაემართა ქართულ კინოს, სხვა დარგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუმცა, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ...

მაგრამ, საქართველოში კვლავაც იზრდებიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებიც ღირსეულ ადგილს იმკვიდრებენ ევროპის წამყვან გუნდებში. ქართულ ფეხბურთში შეიქმნა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა — ფეხბურთელთა კომერციული ინტერესი, უფრო სწორად, თავგამოდებული თამაშისას მიღებული ტრავმის გამო კონტრაქტის დაკარგვის და შემოსავლის გარეშე დარჩენის შიში, რომელიც საკმაოდ ძნელი გადასალახავი გახდა და დღესაც ანგარიშგასაწვეი წინააღმდეგობრივი ფაქტორია. თუმცა, არსებობს ამ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდი — ფეხბურთელებს შორის იმგვარი პატრიოტული სულისკვეთების აღორძინება, რამაც, თავის დროზე, ქართული ფეხბურთი მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სპორტად აქცია და ვარსკვლავად გააბრწყინა საბჭოთა ფეხბურთის ცისკიდურზე.

ჩვენ ვთხოვთ გაზეთ **„ილორის“** მკითხველებს, მონაწილეობა მიიღონ ამ თემაზე გამართულ კულემიაში და გამოავიჯზახონ საკუთარი ხედვა ქართული ფეხბურთის წარსულზე, დღევანდლობასა და მომავალზე.

რ. ჯალაღანია



სამეგრელოში დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა თაობის სპორტული მომზადების საქმეს. თითქმის ყველა რაიონს გააჩნია კეთილმოწყობილი სტადიონი. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია ზუგდიდის სტადიონი, რომელიც კერძო ბიზნესმენზეა გაცემული იჯარით. ფინანსური გათვლებისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მისი რეკონსტრუქცია დაჯდება დაახლოებით ოთხი მილიონი ამერიკული დოლარი, რომლის შემდეგ ხალხი მიიღებს გადასურული ტრიბუნებით აღჭურვილ სოლიდურ სპორტულ კომპლექსს. სტადიონი დაიქვეს 15.000 მაყურებელს, და ექნება განათების ანძები. მოედანზე მოეწყობა სპეციალური სადრენაჟო სისტემა და სარწყავი მოწყობილობა. ზუგდიდს უკვე ჰყავს უადრესად ნიჭიერ ბავშვთა ფეხბურთის გუნდი, რომელიც სისტემატურად ვარჯიშობს გამოცდილი მწვრთნელების მეთვალყურეობის ქვეშ, რაც იმის ნიშნავს, რომ ზუგდიდს მალე ყოვლება მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი. მაგრამ, ვიდრე რეგიონალური ფეხბურთის აუკარგზე ვისაუბრებთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ თვით მთლიანად ქართულ ფეხბურთზე. ქართული ფეხბურთი ასაკით ოდნავ ჩამოუვარდება მსოფლიო ფეხბურთს — ინგლისელ მეზღვაურებს მეოცე საუკუნის დასაწყისში თავადაც არ პქონდათ ბოლომდე გააზრებული ამ ახალი თამაშის წესები, როცა ფოთში ქართველებს ეთამაშებოდნენ ფეხბურთს. ამის შემდეგ ფეხბურთი საქართველოში პროფესიულ სპორტად იქცა და ჩამოყალიბდა მცნება **“ქართული ფეხბურთი”**. 1921 წელს ქართული ფეხბურთი იქცა საბჭოთა ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად, მის მთავარ მამოძრავებელ ძალად და სათამაშო ტექნიკის შემოქმედ ღიზიანერად. რომ არა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რუტინული დოქტრინა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მხოლოდ მოსკოვის ხუთი გუნდიდან ერთ-ერთი უნდა გამხდარიყო, ქართული

საფრანგეთი – 1938

საფრანგეთში 1938 წელს ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე უცნაური. მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილის მოძებნა იოლი საქმე არ გახლდათ, რადგან ევროპა მეორე მსოფლიო ომის დაწყების ზღვარზე იდგა, ესპანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ხოლო ბრიტანეთის ქვეყნებს ფიფასთან ჯერ კიდევ კონფლიქტი ჰქონდათ. ამიტომ, ჩემპიონატის ჩატარებას ყველა ამერიკის კონტინენტზე მოელოდა.

1936 წლის 15 აგვისტოს ბერლინში გამართულ ფიფას კონგრესზე გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ამ ტურნირის სულისჩამდგმელების, ფიფას მოქმედი პრეზიდენტის ჟიულ რიმესა და მისი თანაშემწის ანრი დელონის სამშობლოში – საფრანგეთში ჩატარებულიყო. მსოფლიო ჩემპიონატმა იტალიელებმა და ტურნირის მასპინძლებმა ფრანგებმა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება შესარჩევი თამაშების გარეშე მიიღეს. ამრიგად, ჩემპიონატში მონაწილეობდნენ იტალია, უნგრეთი, ბრაზილია, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, შვედეთი, კუბა, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლანდია, პოლანდიის ვესტ-ინდოეთი, ნორვეგია, პოლონეთი და ბელგია.

მოქმედი ჩემპიონები იტალი-

ელები ტურნირს კინალამ მერვედ-ფინალშივე გამოეთიშნენ ნორვეგიელებთან შეხვედრაში. იტალიელებმა დამატებით დროში 2:1 გაიმარჯვეს. გერმანიის ნაკრებმა შევიცარიელთა ბარიერი ვერ გადალახა. ამ გუნდების დაპირისპირება 1:1 დასრულდა, განმეორებით შეხვედრაში კი შვეიცარიელებმა გაიმარჯვეს 4:2. კუბის ნაკრების შეხვედრა რუმინელებთან 3:3 დამთავრდა. მეორე შეხვედრაში კუბელებმა გაიმარჯვეს 2:1. ფრანგები ბელგიელებს იოლად გაუსწორდნენ 4:1, ასევე არ გასჭირვებია პოლანდიელებთან გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს 4:0. უნგრელებმა კი პოლანდიის ვესტ-ინდოეთის გუნდს 6 უპასუხო გოლი გაუტანეს.

მერვედფინალში აღსანიშნავია ბრაზილია-პოლონეთის დაპირისპირება, რომელსაც შემდგომში **“ზღაპრული”** უწოდეს. ეს მატჩი ათ საუკეთესო შეხვედრათა რიცხვში შედის. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა, რადგან გარდა შვედეთ-კუბის წყვილისა, სხვა წყვილებში გამოკვეთილი ფაგორიტი არ იყო. შვედებმა მეტოქე 8:0 დაამარცხეს.

მეოთხედფინალში იტალიელები ფრანგებს შეხვდნენ და 2:1 მოუგეს. ბრაზილია-ჩეხოსლოვაკიის დაპირისპირებაში, ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს 2:1. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ იტალია, უნ-

გრეთი, ბრაზილია და შვედეთი. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. სამხრეთამერიკელთა მწვრთნელმა ადემარ პიმენელამ საკუთარი გუნდის შესაძლებლობები გადააფასა და გადაწყვიტა, იტალიელებთან მატჩში ლეონიდასი არ ეთამაშებინა. მას მწვრთნელი მხოლოდ ფინალში ათამაშებდა. ამრიგად, ფინალში უნგრელები და იტალიელები გავიდნენ. ბრაზილიელებმა მესამე ადგილისათვის ბრძოლა შვედეთის სწორედ ლეონიდასის წყალობით მოუგეს 4:2.

ფინალი პარიზის სტადიონ **“კოლომბოზე”** გაიმართა და მას 60.000 მაყურებელი დაესწრო. იტალიელებმა მიიღეს ბენიტო მუსოლინის სამსიტყვოანი ღეგეშა: **“გამარჯვება ან სიკვდილი”**. ანგარიში კოლაუსიმ გახსნა, მაგრამ ტიტკოშმა საპასუხო გოლი გაიტანა. პირველსავე ტაიმში კოლაუსიმ და პოლამ ორჯერ შესძლეს მეტოქის კარის აღება და ანგარიში გახდა 3:1. მეორე ტაიმში იტალიელებმა უნგრელებს მასიური დაცვა, ანუ **“კატენარიო”** შესთავაზეს. შეხვედრის მეორე ნახევარში შაროშმა ანგარიში ერთი ბურთით კი შეამცირა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე პოლამ მატჩის საბოლოოდ დაუსვა წერტილი. იტალიის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

გიორგი ჯალაღანია

ბომბარდირები

ლეონიდასი დე სილვა (ბრაზილია) – 7 გოლი;
სილვიო პიოლა (იტალია) – 5 გოლი;
დიერდ შაროში (უნგრეთი) – 5 გოლი;
დიულა ჟენგელერი (უნგრეთი) – 5 გოლი;

მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები

ოლივიერი (იტალია), დომინგოსი (ბრაზილია), რავა (იტალია), სალაი (უნგრეთი), ანდრეოლო (იტალია), აფონსინიო (ბრაზილია), შაში (უნგრეთი), ლეონიდასი (ბრაზილია), პიოლა (იტალია), ჟენგელერი (უნგრეთი), კალაუსი (იტალია).

ფინალური მატჩი

იტალია-უნგრეთი 4:2 (3:1).
პარიზი, **“კოლომბო”**, 60.000 მაყურებელი.
მსაჯები: ჟაკადევილი (საფრანგეთი), გკრისტი (ჩეხოსლოვაკია), ჰვიუტრი (შვეიცარია).

იტალია: ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიაგატი, მუცა (კაპიტანი), პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

უნგრეთი: საბო, პოლგარი, ბირო, სალაი, სიუნი, ლაზარი, შაში, ვინცე, შაროში (კაპიტანი), ჟენგელერი, ტიტკოში.

გოლები: კოლაუსი (5,36), ტიტკოში (7), პიოლა (16,85), შაროში (70).



მარსი საკუთარ თანამგზავრს გაანადგურებს?

როგორც ცნობილია, პლანეტა მარსს გვერდს “უშვებენ” ორი ბუნებრივი თანამგზავრი – ფობოსი და დეიმოსი, რომელთაგან ერთ-ერთს, საგარადოდ საკუთარი “მამისგან” სერიოზული პრობლემები შეექმნება (ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ფობოსიც და დეიმოსიც მარსისა და ვენერას ვაჟები იყვნენ), და მათ შორის შეჯახების თავიდან აცილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

“ნასას” სპეციალისტების ინფორმაციით, მათმა კოსმოსურმა აპარატმა სულ ცოტა ხნის წინათ ფობოსისთვის ორი ფობოს გადაღება მოახერხა, რომელთა შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იგი ზედმეტად გააქტიურებულია და ამის გამო, სულაც არ არის გამორიცხული, მას და წითელ პლანეტას შორის შეჯახება მოხდეს.

რა შედეგს გამოიღებს ეს მოვლენა, “ნასაში” არ აკონკრეტებენ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორი სხეულის შეჯახება კოსმოსში სერიოზულ დისბალანსს მოახდენს.

ფობოსი, ჯერ კიდევ, 1877 წელს ამერიკელმა ასტრონომმა, ასაფ პოლომ აღმოაჩინა. მეცნიერების განმარტებით, ფობოსიც და დეიმოსიც, რეალურად, ასტეროიდები იყვნენ, რომელთაც მარსი თავისკენ მოაქანებს.

ცნობილია, რომ ყოველ 100 წელიწადში ფობოსი წითელ პლანეტას 1,8 მეტრით უახლოვდება და მათი შეჯახების პროგნოზიც თანამგზავრის უწყველო გააქტიურების გამო გაუძღვრად.



ორ შორეულ ვარსკვლავზე ასტრონომებმა წყალს მიაკვლიეს

ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მსოფლიოს მეცნიერები იმდენად შორეული ვარსკვლავების შესწავლას ახერხებენ, რომ ხშირად მათ მიერ გამოტანილი დასკვნები დაუჯერებელიც კია, მაგრამ მაინც, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ამერიკის შერთებული შტატების კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასტრონომების მორიგ საოცარ აღმოჩენაზე და გეტყვით, რომ მათ ორ ასტრონომიულად შორეულ ახლად გაჩენილ ვარსკვლავზე ჩვეულებრივი წყლის ნაკადებს მიაკვლიეს.

ვარსკვლავები “ეი ეს 205 ეს” და “დე არ ტაუ” ჩვენი პლანეტიდან 391 და 457 სინათლის წლის დაშორებით მდებარეობენ. ამ დროისათვის ისინი ბოლომდე ჯერაც არ ჩამოყალიბებულან და ამდენად, მათ გარშემო მხოლოდ კოსმოსური გაზისა და მტვრის ღრუბლები ტრიალებს.

ამერიკელი ასტრონომების განმარტებით, წყლის ნაკადის აღმოჩენა მათ სწორედ ამ ღრუბლებში მოახერხეს, თუმცა ამ უწყველო მოვლენის ასხნას ისინი ვერაფრით ახერხებენ.

მ გ ე ლ მ ა ქ ა ლ ი შ ე ჭ ა მ ა

საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიშინდაში მცხოვრები 57 წლის მარიამ მარგებაძე მგელმა შეჭამა. ის სახლიდან 28 იანვარს გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ოჯახში იცოდნენ, რომ ის ძმასთან, გურჯაანში იყო სტუმრად. რამდენიმე დღის წინ კი თანასოფლელებმა მარგებაძის დასახიზრებული ცხეღარი გიორგიშინდის ტყეში იპოვეს. გვამს ექსპერტიზა ჩაუტარდა, რომლის დასკვნით ცხეღარი გარეულმა მტაცებელმა დააჩიანა.

საგარეჯოს მოსახლეობა შეშფოთებულია. მომრავლებული მგლების გასაუვნებლად სპეციალური ჯგუფები შეიქმნა. მონადირეები მგლის მოკვლისათვის ფულად ჯილდოებს მიიღებენ.



Domentol

გასთან სიცოცხლეზე ხელჩაქეული მიღიან გამოჯანმრთელებული ბრუნდება

გაგნიძის პრაქარაბი არჩენს

ავთვისებან სიმსივნურ დაავადებას, აუზ-ნაღვლის გაუვალ-ობას, აოლიბს, ფისბაუსს, პროსტატიბს, ბუასილს, ნარვის ან-თაბას, ნაპროსს, ფსიკიკარად დაავადებულას, პარაინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელის დაავადებას, სპოზს აზოზს თირკმელში, ჰარნავს გაფანტული სალაროუს და შიღსს, გულის ცარებალურ დაზღვას, ყირაბიდან ჩირქდანს, ოსტოორონდოროს, გაიგორობს, სისხლის გათათრებას, საფ-სისს, ბოტაღვას, ბუბარაღვას, ცაროუს I და II სტადიებში, C-ჰუპატიბს, ბოტაინს, ელანთის, ნაღვლის ბუბის დაავადებას, ანთაბიტი პროცესებს, ქლამიდიას, ქლიმაქსს, გუღვას, ფსორო-უსს, სხსრებას დაავადებას, ავთილასიას, აფარებას იმუნობას, ანდრეს თავის ტვინის უკრავებს ალდგან-განარჩენებს, დაღაბითად მოყვადებს სპასალურ დაღვავებას და ნაროტიკებთან დამოკიდებულებას.

კოოროდინაბაბია:

თალავი, აუპასიონის ქაჩა №61-ბ, გაგნიძე ბიჭიკო (დოგნაბი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, ნინამაღვრისძეის 120
ბათუმი, ასათიანის 11,
(ოოგაბათს, ოთხგაბათს და პარასაბს, 10-დან 14 საათამდე).



Gageloni

anaklia@web.de
e-mail:elisabeththal@yahoo.de

სარედაქციო
კოლეგია

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ტაბიძის ქაჩა №23

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე რედაქციამ შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისის თვითონ არ იზიარებს